MES 4 21 0000816047

24/08/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 10.08.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 22:20 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე - ჯიშკარიანი
სხდომის თავმჯდომარე: ნინო იმნაძე
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი: ეკატერინე ნაცვლიშვილი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. გაიანე სიმონია - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. ელენე ჟურავლოვა - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
6. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
8. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. თამარ ჩხეიძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
14. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი.
15. ნინო ინასარიძე - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	ვახტანგ ლეჟავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	ნათია სამუშია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I

3.	მარინა ქარჩავა	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პრორექტორი	I
4.	ანკა თაბუკაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მენეჯერი	I
5.	მარიამ გაბუნია	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი	I
6.	თინათინ ქაროსანიძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	საერთაშორისო ურთიერთობების სკოლის დეკანი / პროგრამის ხელმძღვანელი	I
7.	გოგი კაციტაძე	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	აზიისა და აფრიკის ინსტიტუტის დირექტორი	I
8.	მარიამ მაჭარაშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროგრამის კოორდინატორი	I
9.	ერეკლე ასტახიშვილი	შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი	პროფესორი	I
10.	მაია ჩხეიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	II
11.	თინა ღუდუშაური	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორი	II
12.	სოსო გოგილიძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პრორექტორი სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით	II
13.	არჩილ ჯანგირაშვილი	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი	II
14.	ქეთევან გეგიაძე	შპს საქართველოს უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელი	II
15.	მანანა ცერცვაძე	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	III, IV
16.	ლელა აფციაური	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის (საბაკალავრო, სამაგისტრო) პროგრამების ხელმძღვანელი	III, IV
17.	მარიამ ველიჯანაშვილი	შპს სასწავლო უნივერსიტეტი გეომედი	რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში	III, IV

აკრედიტაციის ექპერტები:

N	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1.	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I , II, III
2.	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3.	გვანცა აბდალაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4.	ნიკა გიგაური	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5.	ნინო პოპიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6.	ინგა დიაკონიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7.	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II, III, IV
8.	თათია უბერუ	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9.	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III, IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- დიახ

შუამდგომლობის ინიციატორი - ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ იშუამდგომლა დღის წესრიგს დამატებოდა საბჭოს უკვე გამოქვეყნებულ რიგ გადაწყვეტილებებში ტექნიკური ხარვეზების გასწორების საკითხები.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს საქართველოს უნივერსიტეტის "ფილოლოგიის" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
6. „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
7. “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
8. “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
9. “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
10. “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
11. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისთაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;
12. 2021 წლის 6 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის ოქმში სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;
13. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

14. „შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 07 ივლისის № 685470 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ.

პირველი საკითხი: შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის "საერთაშორისო ურთიერთობების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	11.11.2011 გადაწყვეტილება N 263
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 - პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	კახა ბენდუქიძის კამპუსი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N.240, თბილისი 0159, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას, წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრები: გვანცა აბდალაძე, ირმა ქურდაძე და ნიკა გიგაური და აღნიშნა რომ 1, 3, 4 და 5 სტანდარტები შესაბამისობაში, ხოლო მე-2 სტანდარტი მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. კურსი, კავკასია და საქართველო, გადავიდეს ზოგად საუნივერსიტეტო კომპონენტში ან შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი;
2. პროგრამის ძირითადი განათლების მიმართულებას დაემატოს პოლიტიკის მეცნიერების საგანი სავალდებულო სტატუსით;
3. რეკმენდირებულია სილაბუსების გადახედვა; მათში ლიტერატურის სწორად მითითება და გამრავალფეროვნება; კურსის, საერთაშორისო ტერორიზმი და საერთაშორისო უსაფრთხოება, სათაურის შეცვლა (დარჩეს მხოლოდ საერთაშორისო ტერორიზმი); პოლიტიკის მეცნიერების საგნის დამატება ძირითადი განათლების კომპონენტში (სავალდებულო); კურსის, კავკასია და საქართველოს, სტატუსის შეცვლა (არჩევითი), ამასთან უნდა დავიწროვდეს და დაკონკრეტდეს სასწავლო კურსის როგორც მიზნები, ასევე განსახილველი თემატიკა;
4. რეკომენდებულია პროგრამას სავალდებულო სახით დაემატოს საერთაშორისო უსაფრთხობის საგანი (ევრო-ატლანტიკის კონცენტრაციაზე ისწავლება კურსიევროატლანტიკურიუსაფრთხოება, სხვა კონცენტრაციებზე არა). ვფიქრობთ, პროგრამა მოიგებს, თუ მითითებულ საგანში გაერთიანდება სამივე რეგიონის უსაფრთხოების გამოწვევები თეორიასთან ერთად და ისე მოხდება მისი შეთავაზება სტუდენტისათვის სავალდებულო სტატუსით. ;
5. მოხდეს პრაქტიკული კომპონენტის „მუშაობა ორგანიზაციაში“ ინსტიტუციონალიზება და აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად გაფორმდეს ხელშეკრულებები პრაქტიკის ობიექტებთან (პრაქტიკის მიზნის, ხანგრძლივობისა და სტუდენტთა რაოდენობის მითითებით);
6. რეკომენდებულია, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2.თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3.აშშ-ს პოლიტიკური სისტემა, 4. ძველი მსოფლიოს ისტორია, 5.კავკასია და საქართველო, 6.დიპლომატიის ისტორია და სამსახური და 7. საერთაშორისო ეკონომიკა სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება;

7. რეკომენდებულია შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის, მუშაობა ორგანიზაციაში,სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით;
8. რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) მექანიზმის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორმა განმარტა რომ მათი მხრიდან საკმაოდ დეტალურად იყო განხილული ექსპერტთა დასკვნის პროექტში მოცემული რეკომენდაციები და მოსაზრებები ასახეს არგუმენტირებულ პოზიციაში, თუმცა ექსპერტებისგან მიიღო პასუხი რომ მათ იმსჯელეს და არ გაითვალისწინეს ეს პოზიცია საბოლოო დასკვნის ფორმირებისას. დაწესებულების წარმომადგენლის აზრით, რჩება შთაბეჭდილება რომ რეკომენდაციების უმრავლესობა თუ არა ყველა რეკომენდაცია წარმოადგენს ექსპერტების მოსაზრებებს, თუმცა დაწესებულებისათვის არ არის ნათელი გამომდინარეობს თუ არა ისინი დათქმებიდან და იმ საკითხებიდან, რომლებიც ექსპერტებმა აკრედიტაციის პროცესში შეისწავლეს. მისი განმარტებით, მათი პოზიცია საპატივცემულო და გასათვალისწინებელია, თუმცა დაწესებულება თავის აკადემიურ პერსონალს და პროფესორებს უწევს ანგარიშს და მიაჩნია რომ გაუაზრებელი არაფერი არ არის პროგრამაში, მითუმეტეს რომ აღნიშნული პროგრამა უკვე 30 წელია რაც ხორციელდება და ერთ-ერთი უძველესია არასახელმწიფო პროგრამებიდან საქართველოს ისტორიაში. პროგრამას ჰყავს წარმატებული კურსდამთავრებულები, რომლების არიან საქართველოს ელჩები, შესაბამისად ამ რეკომენდაციების მართებულობის დამტკიცება მეტ ძალისხმევას მოითხოვს, რაც იძლება იმის ფიქრის საფუძველს რომ მათი შესრულებით პროგრამა არათუ უკეთესი გახდება, არამედ შეიძლება დაზიანდეს კიდეც.

საბჭოს თავმჯდომარემ პროგრამის ხელმძღვანელს მიმართა წარმოედგინა რეკომენდაციებთან დაკავშირებული არგუმენტები. პროგრამის ხელმძღვანელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებსა და დამსწრე საზოგადოებას. მისი თქმით, ერთ-ერთ რეკომენდაცია ეხებოდა საგანს ,,საერთაშორისო უსაფრთხოება და ტერორიზმი“ და იყო მითითება რომ საგანს შეცვლოდა სახელი, რადგან აღნიშნულ საგანში უსაფრთხოების ნაწილი არ ისწავლება, წერილობით დასაბუთებული იყო შესაბამისი კვირების 15-16-11 სადაც შესაძლოა სათაურში არ იყოს სიტყვა უსაფრთხოება ნახსენები თუმცა ნამდვილად ისწავლება ტერორიზმთან დაკავშრებით უსაფრთხოების საკითხები და არა ზოგადად თეორია, რომელზეც დაწესებულებას ჰქონდა ექსპერტებთან დიალოგი. მან დაასახელა თემები რომელსაც ეხება ეს საგანი უსაფრთხოების მიმართულებით. მისი თქმით, შესაძლოა გაჩნდეს კითხვა, თუ რატომ არ ჰქვია სილაბუსს საერთაშორისო ტერორიზმი და კონტრტერორიზმი. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული სახელწოდება ვერ ერქმევა, რადგან არსებობს ტერორიზმის წინააღმდეგ პასუხები, წინააღმდეგ და პრევენციული - შესაბამისად ეს უკავშირდება 2014 წელს თავად პროგრამის ხელმძღვანელის ვიზიტს, როგორც მიწვეულ მეცნიერს, ჰოპკინსის უნივერსიტეტში, პროგრამა უკავშირდებოდა კურიკულუმის განვითარებას და ამ პროგრამის ფარგლებში ასეთი მოდულით სხვადასხვა ექსპერტთა რეკომენდაციით შეიმუშავეს ეს ნაწილი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მეორე რეკომენდაცია ეხება პოლიტიკის საგნის დამატებას, იყო საუბარი რომ კონცენტრაციები თითქოს არათანაბრად ისწავლება და გაიცა რეკომენდაცია ხომ არ შეიძლება პოლიტიკის მიმართულებით შორეული აღმოსავლეთის და ახლო აღმოსავლეთის კონცენტრაციის სტუდენტებმა ისწავლონ რაიმე საგანი. დაწესებულება მიიჩნევს რომ ის საგნები რომლებიც ისწავლება ამ კონცენტრაციაში არ შეიძლება იყოს ერთნაირი არამედ უნდა იყოს მორგებული რეგიონისა და მისი სპეციფიკის მიხედვით, პროგრამა ვერ მოიგებს თუ მას დაემატება ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის სისტემების საგანი, ამ კონცენტრაციაზე ისწავლება ისტორია, ეს არის სპეციფიკური რეგიონი, რომლის

ისტორია პირდაპირ კავშირშია პოლიტიკასთან, თავად ტერმინი ახლო აღმოსავლეთი არის არა გეოგრაფიული, არამედ ისტორიული ტერმინი. წარმოუდენელია ისწავლებოდეს ამ რეგიონის ისტორია რომ არ შევეხოთ ამ სახელმწიფოების პოლიტიკას. პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით სილაბუსების შემუშავებისას გადაიხედა ნიუ-იორკის და ბოსტონის უნივერსიტეტების ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკის კურსების სილაბუსები, რომელთა შესწავლის შედეგად მან დაასკვნა დაწესებულების რომ ამ საგნების შემთხვევაში ისწავლება ოსმალეთის იმპერიიდან და არა მანამდე. ლიტერატურა, რომელიც მითითებულია ზემოაღნიშნული უნივერსიტეტების ამავე კურსებში და რომელიც მათი განხილვის შედეგად ამ პროგრამაზე შეიმუშავეს არის იდენტური. ასევე მასალა, რომელიც მოცემულია ისტორიის საგანში და რომელსაც ბატონი გოგი კაციტაძე ასწავლის და ის ლიტერატურა რომელიც არის პოლიტიკის საგნებში არის იდენტური, შესაბამისად გაუგებარია რატომ შეიძლება იყოს ახალი საგნის დამატება საჭირო, მსგავსი სიტუაციაა შორეული აღმოსავლეთის რეგიონის მიმართულებითაც. ეს არ არის ერთიანი სივრცე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს საერთო ისტორია, ისევე როგორც ევრო ანტლანტიკურ მიმართულებაში ისწავლებოდეს შორეული და ახლო აღმოსავლეთი, ევრო ატლანტიკური მიმართულებით პოლიტიკა არის კონსოლიდირებული ნატოს და ევროკავშრის დოქტრინის გარშემო.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ,,მუშაობა ორგანიზაციაში, გადავიდეს არჩევით საგანში, რადგან სტუდენტებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ საგანს გადიან ფორმალურად. დაწესებულების განმარტებით, ამ საგნის სწავლება ფორმალურად არ მიმდინარეობს, მისი თქმით სწორედ წინა კვირას ჩატარდა ზეპირი პრეზენტაციები. პროგრამა არის ინტერდისციპლინური და ,,მუშაობა ორგანიზაციაში,, არ ნიშნავს რომ სტუდენტებმა აუცილებლად რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში უნდა გაიარონ პრაქტიკა. დაწესებულების განმარტებით, ისინი გადიან პრაქტიკას საგნების თეორიული ცოდნის მიხედვით. ამ საგნის მთავარი მიზანია მათ გამოუმუშავდეთ უნარი თუ როგორ ადაპტირდნენ ახალ გარემოში. მისი თქმით გაიმართა 68 ზეპირი მოსმენა , აქედან თითქმის ყველა სტუდენტი აღნიშნავდა რომ მათთვის გაუგებარი იყო თუ რატომ აძალებდა ინსტიტუცია ამ საგნის გავლას პირველ კურსზე, ხოლო ამჟამად ყველა ზემოაღნიშნული სტუდენტი იყო მადლიერი, რადგან ისინი არ დაიწყებდნენ სამუშაოს ძებნას ახლა და დაიწყებდნენ დასრულების შემდგომ, ეს საგანი მათ აძლევთ შესაძლებლობას რომ ვინც აღნიშნული საგნის ერთი მესამედი გაიარა, დარჩნენ სამუშაოდ იმავე ორგანიზაციებში. დაწესებულება გაეცნო იმ სტუდენტთა სიას, რომელთა გამოკითხვაც განხორციელდა ექსპერტების მიერ ვიზიტის ფარგლებში, ერთ-ერთმა ევროპულ ქართულ ინსტიტუტში გაიარა სტაჟირება, მეორემ ასევე სტაჟირება ამერიკის საელჩოში საქართველოში პოლიტიკის დეპარტამენტში, მესამემ კორეულ კომპანიაში, ასევე სტუდენტები ხშირად სტაჟირებას გადიან ტაბულაში და აქვეყნებენ ანალიტიკური სტატიებს. დაწესებულების წარმომადგებელმა დაამატა რომ სტუდენტების წარმომადგენლობა სტატისტიკურად რეპრეზენტატიული არ არის, მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით სამუშაო ადგილების დიდი უმრავლესობა არის პროფილური.

შემდეგი რეკომენდაცია ეხებოდა ჰიბრიდული ომის საგანს, საუბარი იყო რომ პირველადი წყაროები ყოფილიყო ნაკლები და მეტად წარმოდგენილი ყოფილიყო მეორადი. დაწესებულების რექტორი თვლის რომ ეს საკითხები კურსში მოცემულია და არ საჭროებს დამატებას. რაც შეეხება პირველად წყაროებს, კვლევის უნარების განვითარებისთვის შესაძლებელია იმუშაონ პირველად წყაროებზე და არა მხოლოდ შეგროვებული რიდერების გამოყენებით. მისი თქმით, ,,ჰიბრიდული ომი“ დასაწყისში იყო არჩევითი საგანი, ჰქონდათ ფოკუს ჯგუფები იმ სტუდენტებთან რომლებმაც გაიარეს საგანი. მაღალი ინტერესის და იმის გამო რომ კრიტიკული ანალიზის დიდ შესაძლებლობას იძლეოდა - საგანი გახდა სავალდებულო.

შემდეგი რეკომენდაცია დაწესებულების წარმომადგნელის განმარტებით ეხებოდა ზოგ საგანში ლიტერატურის დამატებას, მათი მოსაზრებით ეს არის ლექტორის აკადემიური თავისუფლება და ის თავად განსაზღვრავს რა ტიპის და რა რაოდენობის ლიტერატურა უნდა ისწავლებოდეს.

საგანზე ,,ევროპის ქვეყნების პოლიტიკური სისტემები“ აღნიშნული იყო რომ მითითებულია ბევრი ინგლისურენოვანი ლიტერატურა, თუმცა დაწესებულებაში სავალდებულოა ინგლისური B2 დონეზე, ეს არის ევროატლანტიკის საგანი სადაც გაძლიერებული ინგლისური აქვთ, შესაბამისად ამ მასალას სტუდენტები ძლევენ და ამ მიმართულების პრობლება არ იკვეთება.
ექსპერტთა ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა დამსაქმებლებთან შეთანხმებაში , ,,მუშაობა ორგანიზაციაში“ - მეტად იყოს გაწერილი შეფასების კრიტერიუმები და იყოს ქულები გადანაწილებული. დაწესებულებას აქვს წერითი ნაშრომი, რომელშიც ასახულია მათი პრაქტიკის ანგარიში, ასევე ანალიზი თუ რა ცოდნა შეიძინა და გამოიყენა სტუდენტმა სხვადასხვა გარემოში. თუ დაფიქსირდა პრაქტიკის წყვეტა, განმარტებულია აღნიშნულის მიზეზი, შემდგომ არის ზეპირი მოსმენა და 20 ქულიანი შეფასება/რეკომენდაცია. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, როდესაც სტუდენტი გადის პრაქტიკას ამერიკის საელჩოში, რთულია 15 სტუდენტზე დაწესებულებამ დეპარტამენტის ხელმძღვანელს მოსთხოვოს ყოველდღიური შეფასება, როდესაც სტუდენტები მიდიან გაცვლითი პროგრამით უცხოეთში, ისინი საქართველოს საელჩოში გადიან პრაქტიკებს, შესაბამისად სირთულეს წარმოადგენს ინსტიტუციამ ელჩს სთხოვოს შეაფასოს სტუდენტი ქულებით. აღნიშნული არ არის ფორმალური, იყო შემთხვევა როდესაც სტუდენტს არ მისცეს რეკომენდაცია, რის შედეგადაც მას აღნიშნულ გრაფაში ექნება ნული ქულა დაუფიქსირდება.
ინსტიტუციის წარმომადგენელმა ისაუბრა ქულების გასაჩივრების საკითხზე, სტუდენტის ბაკალავრის დებულებაში გაწერილია ნიშნის გასაჩვრების წესი, ის ყველა პროგრამაზე თანაბრად ვრცელდება. მისი თქმით, დაწესებულებას არაერთხელ გაუვლია აკრედიტაციის პროცესი და ყველა შემთხვევაში ეს გასაჩივრების წესი დამაკმაყოფილებელი იყო. პირველი ინსტანცია არის უშუალოდ ლექტორი, სტუდენტი მეილის საშუალებით წერს ლექტორს კონკრეტულ შეფასებასთან დაკავშირებით, თუ სტუდენტი და ლექტორი ვერ თანხმდებიან, სტუდენტი უკავშირდება ადმინისტრაციას და ხდება პრობლემის ოპტიმალური გზით გადაწყვეტა. მისი თქმით, ეს რეკომენდაცია შესაძლოა იყოს რჩევის სახით, რადგან არსებობს გასაჩვრების წესი, რომელიც არაერთხელ განხორციელებულა პრაქტიკაში. მუდმივმოქმედი კომისიის შექმნას დაწესებულება ერიდება იმის გამო რომ ამან ხელი არ შეუწყოს პროვოცირებული ხელოვნური გასაჩივრებების წარმოქმნას. არის შემთხვევა როცა დეკანია კომპეტენტური შეაფასოს ესა თუ ის საკითხი და არ არის აუცილებელი სხვა მესამე პირების ჩართვა. უნივერსალური კომისიის შექმნა რომელსაც შეუძლია ყველა საგნის და ფაქტორის შეფასება შეუძლებელია. დაწესებულების განმარტებით, არსად არ ჩანს რა გარემოებებზე დაყრდნობით გაჩნდა ეს რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასვა შეკითხვა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, მისი მოსაზრებით ჯობდა რაოდენობრივად ცოტა ყოფილიყო და მეტად რელევანტური, რაც მეტი ინფორმაციის გაგების შესაძლებლობას მოგვცემდა შრომის ბაზართან დაკავშირებით და ნაკლები ყურადღება ყოფილიყო გამახვილებული ექსპორტ-იმპორტის დინამიკაზე და ინვესტიციაზე. შემდეგი შეკითხვა გაჟღერდა პროგრამულ ბიუჯეტთან დაკავშირებით, საბჭოს წევრის თქმით, თავშივე წერია რომ დაწესებულება არ აკეთებს პროგრამულ ბიუჯეტს ამიტომ ძალიან დეტალურადაა განხილული ინსტიტუციის ბიუჯეტი. მისი განმარტებით, პროგრამას არ აქვს ფინანსური მდგრადობის პრობლემა ეჭვი , თუმცა თუ წარმოდგენილი იქნებოდა პროგრამული ბიუჯეტი, ეს ბევრად მარტივად აღსაქმელი იქნებოდა. ასევე საბჭოს წევრის მოსაზრებით, პროგრამაში ,,დაჩაგრულად“ არის წარმოდგენილი საერთაშორისო ურთიერთობები, სადაც არის 3 ერთნაირი საგანი. ეკონომიკური საფუძვლები და მაკრო ეკონომიკა მისთვის შედარებით მისაღებია, თუმცა საერთაშორისო ეკონომიკაში ძალიან რთულია სრულად იმის წაკითხვა რაც სილაბუსშია მოტანილი. 1 საათში ყველა სავაჭრო ბლოკის შეტანა მისი მოსაზრებით არის შეუძლებელი, ამ ლოგიკით გაუგებარია, რა დააშავა

სტუდენტმა, რომელიც მიდის ახლო აღმოსავლეთის კონცენტრაციით, როდესაც არაფერს არ ეტყვიან Gulf cooperation council-ზე, საბჭოს წევრი დაინტერესდა ხომ არ გეგმავდა დაწესებულება სამომავლოდ ამ მესამე საგნის გარკვეულ მოდიფიკაციას კონცენტრაციების მიხედვით. ასევე საბჭოს წევრის მოსაზრებით, საინტერესო იქნებოდა თემატიკად განისაზღვროს ამ რეგიონთან საქართველოს ურთიერთობა.

საბჭოს წევრმა, ელენე ჟურიავლიოვამ აღნიშნა რომ რჩევებში რამდენჯერმე იყო ნახსენები პლაგიატთან დაკავშირებული საკითხები, შესაბამისად მან მოუწეოდა ექსპერტებს ამ საკითხის რჩევებში გამოტანის მიზეზი განემარტათ. ასევე, მისი თქმით, ექსპერტების მიერ აღნიშნულია რომ პოლიტიკის მეცნიერების კუთხით სასურველია გაიზარდოს პროფესურის რაოდენობა, სწავლის შედეგების მიღწევადობისთვის, მან სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, საჭირო იქნებოდა თუ არა პროგრამით განსაზღვრულ კვალიფიკაციაზე გასასვლელად კადრის დამატება.
ასევე საბჭოს წევრმა სთხოვა დაწესებულებას განემარტა, რა მოხდებოდა იმ შემთხვევაში თუ პრაქტიკის დაწესებულება სტუდენტს არ მისცემდა რეკომენდაციას და შეეძლებოდა თუ არა სტუდენტს შემდგომ ამის გასაჩივრება.
საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს, თუ რამ გამოიწვია რჩევებში აკადემიური წერის დამატების საჭიროებაზე გაეწერათ. მეორე შეკითხვა მან დაწესებულების მისამართით გააჟღერა, კერძოდ, კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, საბაკალავრო ნაშრომის წინაპირობა არის სოციალური კვლევის მეთოდები, თუმცა ეს არის ბაზისური კვლევის კომპონენტი, სილაბუსში ძირითადად არის რაოდენობრივი კვლევა, სტანდარტული სოციალოგიური კვლევა, მაგრამ ეს არ არის მორგებული საერთაშორისო ურთიერთობებზე, ფოკუს ჯგუფები და მასობრივი გამოკითხვა, საერთაშორისო ურთიერთობებში არ ტარდება და არ არის რელევანტური. ის დაინტერესდა ამ ბაზისური კვლევის საფუძველზე როგორ ართმევენ თავს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას ის სტუდენტები, ვინც ირჩევს საბაკალავრო ნაშრომს.
საბჭოს წევრის, გაიოზ ფარცხალაძის მოსაზრებით, ზოგადი მათემატიკა საკმაოდ ვრცელი სფეროა და შესაბამისად უმჯობესი ხომ არ იქნებოდა მისთვის ერთი დამატებითი სემესტრის გამოყოფა.
ასევე, საბჭოს წევრის მოსაზრებით დასაქმების სფეროები არის საგარეო საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, ის დაინტერესდა ხომ არ არის შესწავლილი მოთხოვნა ამ სამინისტროებიდან, მაგალითად რამდენი კურსდამთავრებულის მიღებაა მათთან შესაძლებელი.
საბჭოს წევრი, დიანა მჭედლიშვილი შეუერთდა ბატონი გაიოზის შეკითხვას მათემატიკის სილაბუსთან დაკავშირებით, ის დაინტერესდა რამდენად საკმარისია თემატიკა იმისათვის რომ სტუდენტმა ეკონომიკის ბლოკს გაართვას თავი, ვინაიდან მას სჭირდება მათემატიკური აპარატი, რომლის საკითხები არ იკვეთება რომ ისწავლება. ასევე უცნაურია მსხვილი საგნების დაფარვა. გარდა ამისა, ამავე საგნის ლიტერატურასთან დაკავშირებით, დაისვა შეკითხვა უცხოენოვან ლიტერატურასთან მიმართებით, ქართულენოვანი პროგრამის ბაკალავრებისთვის პირველ კურსზე რამდენად დაძლევადი იქნება აღნიშნული, პროგრამის პირველივე მიზანში წერია რომ ,,სტუდენტს უნდა ჰქონდეს კარგი ზოგადი განათლება'', საბჭოს წევრის განმარტებით გასაგებია რომ ზოგადი საშუალო განათლება არ იგულისხმება, მაგრამ სასურველია დაზუსტდეს რა ტიპის ზოგადი განათლება იგულისხმება. საბჭოს წევრმა ასევე დასვა რამდენიმე შეკითხვა რჩევებთან დაკავშრებით, პირველი რჩევა ,,დაემატოს მოთხოვნა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას, პროგრამა არის ქართულენოვანი''. ის დაინტერესდა თუ პროგრამაზე სწავლობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეები, მათი ქართულის დონე როგორ შემოწმდა თავის დროზე, ან ხომ არ იყო ამ თვალსაზრისით რაიმე პრობლემა, ის ასევე დაინტერესდა მიიღებიან თუ არა პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, რომლებიც ქართულს არ ფლობენ. და როგორ მოწმდება მათი ქართული ენის დონე. შემდეგი კითხვა გაჟღერდა მეოთხე რჩევასთან დაკავშირებით რომელიც ეხება

პლაგიატის პროგრამას, შემდეგი გახლდათ მეექვსე რჩევა ,,სასურველია პროგრამაში საერთაშორისო ურთიერთობების პოლიტიკის მეცნიერების კვალიფიკაციის, პრაქტიკულ გამოცდილების მქონე მეტი პერსონალის მოზიდვა და ჩართულობის პროგრამის გათვალისწინების სწავლის შედეგების სრულად მიღწევადობისათვის'' საბჭოს წევრის აზრით, თუ ეს მოსაზრება რელევანტურია, მაშინ ეს ვერ იქნება რჩევა და უნდა გადავიდეს რეკომენდაციაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებსა და დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმდჯომარემ ტერორიზმის, უსაფრთხოებისა და პოლიტიკის მეცნიერების საგნის დამატებასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ ტერორიზმი და უსაფრთხოება მორგებულია კონკრეტულად ტერორიზმთან დაკავშირებულ საკითხებთან, ამიტომ იყო რომ თავად კურსი არ მოცავს უსაფრთხოებას, ხოლო საერთაშორისო უსაფრთხოება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საგანია საერთაშორისო ურთიერთობის პროგრამისთვის, ამიტომ იყო ამგვარი შეთავაზება გაკეთებული. რაც შეეხება რჩევას აკადემიურ წერასთან დაკავშირებით, ის დაემატა იმიტომ რომ საბაკალავრო ნაშრომი ახლახანს გახდა არჩევითი სტატუსით, სწორედ იქედან გამომდინარე რომ სოციალური კვლევის მეთოდები ვერ აძლევს იმ მეთოდოლოგიურ საფუძველს რითაც შეძლებს სტუდენტი სრულად გაართვას თავი საბაკალავრო ნაშრომს, იქნა შეთავაზებული აკადემიური წერა არჩევითი სტატუსით და მასში იმ მეთოდების აქცენტირება რომელიც სტუდენტს სამომავლოდ გამოადგება. ექსპერტის განმარტებით რჩევა გაიცა როგორც სტუდენტებთან გასაუბრების, ისე საბაკალავრო ნაშრომების გადახედვის საფუძელზე. ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებამ განაცხადა რომ ფლობენ პლაგიატის პროგრამას, თუმცა მისი გამოყენება საბაკალავრო ნაშრომის შეფასების დროს შესაძლებელია იმდენად რამდენადაც კურსებში ძირითადად ესეს ფორმატის გამოცდებია და ცოდნის შემოწმება ხდება ესეების მეშვეობით, ექსპერტებმა ჩათვალეს რომ ყველა ტიპის ნაშრომი, რომელიც არის წერილობითი აგრეთვე შემოწმდეს ოფიციალური პლაგიატის ფორმატით. რაც შეეხება აპელაციას, ექსპერტებს არ დაუწერიათ რომ აუცილებელია უნივერსალური კომისიის შექმნა, მათ მართებულად მიაჩნიეს რომ ნებისმიერი ინდივიდუალური განაცხადის დროს უნდა ხდებოდეს კონკრეტულად იმ განაცხადისთვის კომისიის შექმნა. მათი მოსაზრებით, სტუდენტი პირდაპირ ლექტორთან არ უნდა უკავშირდებოდეს, არამედ იმ გაწელილი პროცედურის ნაცვლად რაც ამჟამად არის, სტუდენტი აუცილებლად უნდა ფლობდეს სრულყოფილ ინფორმაციას გასაჩივრების მექანიზმზე და ლექტორთან გასვლის ნაცვლად უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა გაიაროს სწორედ ის პროცედურული მექანიზმები რომელიც არსებობს უსდ-ს რეგულაციებში. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუებმა ვერ გამოავლინა რომ ისინი ფლობდნენ აღნიშნულ ინფორმაციას. ექსპერტის განმარტებით, პროგრამას ემსახურებიან კვალიფიციური სპეციალისტები, თუმცა ბევრ მათგანს არ აქვს დოქტორის ხარისხი, აღნიშნულს ექსპერტები ვერ გასცემდნენ რეკომენდაციის სახით, რადგან ინსტიტუცია არის კერძო, სწორედ ამიტომ გაიცა რჩევა აღნიშნულთან მიმართებით.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პროგრამა წარმოდგენილია 03 კოდით, რაც გულისხმობს იმას რომ აუცილებელია გარკვეული მაკვალიფიცირებელი საგნების არსებობა, როდესაც გაიცა რეკომენდაცია პოლიტიკის შემსწავლელ საგანთან დაკავშირებით, დაწესებულებამ განმარტა რომ ძირითად ბლოკში პირდაპირ არის პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რაშიც შედის: საერთაშორისო პოლიტიკა, შიდა პოლიტიკა, ხოლო მანამდე სტუდენტები არსად არ სწავლობენს რას ნიშნავს დემოკრატია, რა არის ავტოკრატია, როგორ შევაფასოთ, რა არის ამის უკან არსებული თეორიები და ა. მისი განმარტებით, ამ პროგრამაში არის ბევრი საინტერესო რამ, მაგალითად იშვიათი ენების სწავლება, ისეთი სპეციალისტები, რომლებიც შესაძლოა საქართველოში არ არსებობდნენ. სტრუქტურა გაყოფილია მოდულებად, სტუდენტებისათვის რომლებიც წავლენ ევროინტეგრაციის მიმართულებით, სილაბუსებშია შეტანილი თეორიული საგნები და მათ მიეწოდებათ აუცილებელი მაკვალიფიცირებელი

თეორია. რაც შეეხება დანარჩენ ორ მოდულს, მათი არჩევის შემთხვევაში სტუდენტებს არ მიეწოდებათ საბაზისო ცოდნა პოლიტიკის მეცნიერებების დარგში.
ექსპერტის განმარტებით, კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას, კითხვაზე თუ რატომ ჩააბარეს მათ აღნიშნულ პროგრამაზე, პასუხობდნენ რომ მიიღებდნენ კარგ ჰუმანიტარულ განათლებას. ექსპერტის მოსაზრებით, აუცილებელია სტუდენტმა გაიაროს თეორიული საგანი, სადაც ისწავლიან თუ როგორ კეთდება პოლიტიკური სისტემების შეფასება, მანამდე სანამ კონკრეტულ რეგიონებზე გადავლენ. ექსპერტმა ასევე უპასუხა დამაზუსტებელ შეკითხვას გასაჩივრების მექანიზმთან დაკავშირებით, მისი თქმით, სტუდენტი მიდის ლექტორთან, თუმცა ქულის მომატების ან ქულის დაკლების შემდგომ სტუდეტმა არ იცის რა ქმედება განახორციელოს, ამის მექანიზმი არ არსებობს, საბაკალავრო დებულებაში მხოლოდ ის წერია რომ სტუდენტს აქვს უფლება გაასაჩვროს ქულა, მაგრამ როგორ საჩივრდება და ის თუ რა პროცედურები უნდა გაიაროს მსგავსი მექანიზმი გაწერილი არ არის. რაც შეეხება პრაქტიკას და პრაქტიკის ქულის გასაჩივრებას, სტუდენტები იღებენ ან 20 ან 0 ქულას, შეფასების სამართლიანობისთვის აუცილებელია შეფასებები იყოს გაზომვადი, არსებობდეს 15, 10 ან სტუდენტის პრაქტიკის გავლის შესაბამისი ქულა. რაც შეეხება რეკომენდაციას რომელიც მოცემულია 2.4 ქვესტანდარტში გამომდინარეობს ისევ და ისევ სტანდარტებიდან, სტუდენტმა თავად უნდა იპოვოს პრაქტიკის ობიექტი, ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტს აქვს არგუმენტი რომ არ ქონიათ შემთხვევა სტუდენტს ვერ ეპოვა აღნიშნული, თუმცა იტერვიუებიდან გამოირკვა, რომ ზოგ სტუდენტს თავად ჰქონდა კერძო ბიზნესი და იქ გაიარა პრაქტიკული კურსი, ზოგი ლექტორის ასისტენტი იყო და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საუბარია უკვე შემდგარ პროგრამაზე და არა პროგრამაზე რომელიც ახლა ინერგება, შესაბამისად ვარაუდები გადამოწმებული უნდა იყოს. მისი თქმით, პროგრამა არის წარმატებული და ძალიან მოთხოვნადი, აქვს 100%-იან დასაქმება და წარმატებული კურსდამთავრებულები. რაც შეეხება ეკონომიკის საგნებს, ახლახანს გადაიხედა რეგიონალური მიმართულებით და სწორედ ეს მეთოდი იქნა დანერგილი რომ რეგიონურ ჭრილში განეხილათ ეკონომიკა. პროგრამის ინტერვიუებით და მონიტორინგით დაწესებულება დარწმუნდა რომ აუცილებელია ადამიანმა იცოდეს სხვა რეგიონების ეკონომიკური კავშირები ან ვაჭრობის საერთაშორისო სისტემა. მიიღეს რთული კომპრომისი რომ რამდენიმე კონკურენტული ამოცანა მოეთავსებინათ ერთ საგანში, რაც შეეეხება ბაზრის კვლევას, დაწესებულებას არ აქვს ამოცანა რომ ჰყავდეს წმინდა დიპლომატები, მათ სურთ რომ სტუდენტებს ჰქონდეთ კარგი ასპარეზი საერთაშორისო ეკონომიკურ საკითხებში, როდესაც კეთდებოდა ბაზრის კვლევა, ინსტიტუცია აკვირდებოდა სწორედ ამ კავშირებსა და სავაჭრო ბრუნებს, დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე ისაუბრა პლაგიატის თემასთან დაკავშირებით და აღინშნა რომ არაერთ უნივერსიტეტს შეუძლია გაუწიოს კონკურენცია აღმოჩენილ პლაგიატ ნაშრომებთან მიმართებით. განმარტა და დაამატა ისიც რომ ინსტიტუციას მოუწია რამდენიმე სტუდენტის გარიცხვა. რაც შეეხება პროგრამა tunrnitin-ს, იმდენად კარგად მუშაობს რამდენადაც მათ აქვთ უკან ბაზა. საბჭოს თავმჯდომარემ განუმარტა რომ სტუდენტები წერდნენ ესეებს, რაზეც ინსტიტუციამ აღნიშნა რომ ესეებიც მოწმდებოდა. რაც შეეხება პრაქტიკის ობიექტებს დაწესებულების ერთ-ერთ სწავლის ნაწილია რომ სტუდენტებმა თვითონ მოძებნონ პრაქტიკის ნაწილი, ეს არის მათი პოლიტიკა, დაწესებულების წარმომადგენლის თქმჯით, ვერცერთი უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რამდენიმე ათეული სტუდენტი გაანაწილოს პრაქტიკის ობიექტებში. ეს არის ერთგვარად სწავლის ნაწილი, რომლის რისკიც უნდა აიღონ სტუდენტებმა და წარმატებით გაიარონ. რაც შეეხება გასაჩივრების საკითხის, ინსტიტუციის წარმომადგენელმა აღნიშნა რომ არასწორი იქნება სტუდენტი გადაახტეს ლექტორს გასაჩივრებისას, ამგვარი შემთხვევების 50%-ზე მეტი პირველ ინსტანციაში ანუ ლექტორთან გვარდება.
ექსპერტმა დააზუსტა რომ აღნიშნული არ არის გაწერილი.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მექანიზმი და პროცედურა არის სხვადასხვა რამ. ექსპერტმა აღნიშნა რომ პროცედურული მექანიზმი არის ძალიან მნიშვნელოვანი,

სტუდენტი მიდის ლექტორთან სწორედ იმიტომ რომ მას არ აქვს ცოდნა თუ რა უნდა გააკეთოს შემდგომ.
ინსტიტუციის განმარტებით, ,,სოციალური კვლევის“ სილაბუსი უფრო მეტად არის რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდები და არ არის დოკუმენტის ანალიზი წარმოდგენილი, სილაბუსი ითვალისწინებს დოკუმენტის ანალიზს, შინაარსის ანალიზით არის წარმოდგენილი სილაბუსში, რომელიც გულისხმობს დოკუმენტების ანალიზს, სტატიების, ტრანსკრიპტების და სხვადასხვა ტიპის დოკუმენტების ანალიზს. რაც შეეხება მათემატიკას, თუ რამდენად საკმარისია, ის რომ ეკონომიკის საკითხები დაიფაროს, დაწესებულება საგნის შემუშავებისას მუშაობდა ამ საკითხზე არა მხოლოდ კახა ბენდუქიძესთან, არამედ მარქსის პროგრამირების ხელმძღვანელთან ერთად. ბევრი წლის წინ იქნა შემუშავებული ის თუ რამდენად ეხმარება ეკონომიკური საფუძლების და სხვა საგნების დაძლევაში. დაწესებულებას მიაჩნია რომ ამ მიზანს აღწევს და მათემატიკური კუთხით განვითარებას უწყობს ხელს, მეორე მხრივ საკმაოდ განსხვავებული კურსია ყველა სხვა კურსისგან საქართველოში. ლექტორებს ყველა საკითზე აქვთ hand out-ები ქართულ ენაზე. დაწესევულების წარმომადგენელმა ისაუბრა ,,მუშაობა ორგანიზაციაში,, სილაბუსსა და შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, მან განმარტა რომ ფასდება დამსაქმებლისგან დადებითი შეფასება, როცა სტუდენტი ასრულებს მასზე დაისრებულ ყველა მოვალეობას. ეს პირველ რიგში მნიშვნელოვანია მათთვის, ასევე პარტნიორებთან ნდობის საფუძელია და შემდგომ ეს ნდობის საფუძველი მომავალი თაობის მათთან წაყვანის შესაძლებლობას იძლევა. საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა, კერძოდ თუ სტუდენტი თვლის რომ მიღებული 0 ქულა არის უსამართლო რა პროცედურები ხორციელდება ინსტიტუციაში.
დაწესებულებამ დაამატა რომ დასაქმების ფორუმები ხორციელდება ყოველ სემესტრში, ასზე მეტი ორგანიზაცია ესწრება, მონაწილეობს ყველა სახელმწიფო უწყება. სტუდენტებისთვის ტარდება სპეციალური ტრეინინგები, ეხმარებიან CV-ის სწორად შევსებაში.
საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა იმის შესახებ თუ რამდენია ბაზარზე მოთხოვნა ამ სპეციალობის კურსდამთავრებულებზე, დაწესებულებამ განმარტა რომ ზრდიან თაობას რომელიც მინიმუმ 30 წელი უნდა იყოს ბაზარზე, არ იციან რა მოთხოვნები ექნება თავდაცვის სამინისტროს 10 წლის შემდეგ. მათ სურთ სტუდენტებმა როგორც საერთშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებში, ისე დიპლომატიურ ასპარეზზე იპოვონ თავიანთი ადგილი.
რაც შეეხება შეკითხვას პრაქტიკის შეფასებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, თუ დადგა შემთხვევა რომ სტუდენტმა დამსაქმებლისგან ვერ მიიღო სათანადო ცოდნა და მიიღო 0 ქულა, უნდა გადაიხედოს სილაბუსი, რომელიც შედგება შეფასების კომპონენტებისგან, შეიძლება სტუდენტმა ერთი კომპონენტი ვერ შეასრულოს, შემდგომ ინსტიტუცია უყურებს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს კვეთს თუ არა ეს კონკრეტული სტუდენტი. აღინიშნა რომ მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ბიზნესის ადმინისტრირების შემთხვევაში, კერძოდ სტუდენტი არ ეთანხმებოდა დამსაქმებლის პოზიციას, მიმართა პროგრამის ხელმძღვანელს, შედეგად პროგრამის ხელმძღვანელი თავად დაუკავშირდა დამსაქმებელს, მიიღო ინფორმაცია და სტუდენტს მისცეს შესაძლებლობა რომ 2 კვირით ემუშავა და გამოესწორებინა აღნიშნული ვითარება. რაც შეეხება შეკითხვას სწავლობენ თუ არა პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეები, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით არ სწავლობენ, ნომინალურად შესაძლოა ინსტიტუციაში სწავლობდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, ეთნიკური ქართველი რომელსაც აქვს ყაზახეთის პასპორტი.
საბჭოს წევრმა აღნიშნა რომ ბიოლოგიური და ქიმიური იარაღი, ბიოტერორიზმი ერთ-ერთ ყველაზე მძლავრი მექანიზმია, თუმცა მხოლოდ 3 საათია მთელ პროგრამაში ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის საკითხებზე დათმობილი, ასევე მან რადიოლოგიურ საფრთხეებზე სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელს დამაზუსტებელი ინფორმაცია..
დაწესებულებამ აკადემიურ წერასთან დაკავშირებით აღნიშნა რომ უნივერსიტეტს აქვს თავისი განვითარების გზა, სადაც აკვირდება საკითხებს თუ რა როგორ მუშაობს, საბაკალავრო პროგრამაზე დაწესებულებას ცალკე საგნად ჰქონდა აკადემიური წერა, შედეგები იყო საკმაოდ

არასახარბიელო, როდესაც ტარდებოდა ფოკუს ჯგუფები და გამოკითხვები, აღინიშნებოდა რომ საკმაოდ არასაინტერესოდ მიდიოდა და ინსტიტუცია შედეგს ვერ იღებდა .დაწესებულებას აქვს საორინეტაციო კვირეული, სანამ დაიწყება სწავლა პირველი სამი კვირა ინტენსიურად მიდის პლაგიატზე და აკადემიურ თაღლითობაზე სპეციალური ლექციები, აკადემიური წერა, Word, Excell, Power Point და Zoom-ის შესახებ. ასევე არის საგანი ,,ლიტერატურა და ხელოვნება", სადაც ინსტიტუციის განმარტებით, სტუდენტები წერენ 10 ესეს. დაწესებულებამ სცადა რომ აკადემიური წერის კომპონენტი გაეკეთებინათ საგნებში ინტეგრირებული სახით, ჩათვალეს რომ შედეგი ამგვარად უკეთ მიიღწევა.
დაწესებულების განმარტებით, საბაკალვრო ნაშრომი ეს არის ახალი საგანი, რომელიც შემოიტანეს და არ არის სავალდებულო. აღნიშნულის შემოტანა მოხდა სტუდენტების სურვილის საფუძველზე. სამაგისტრო პროგრამა ევროპაში ითხოვს გარკვეულ კვლევაზე მუშაობის გამოცდილებას, სწორედ ამიტომ მოხდა არჩევითში მისი შემოტანა თავისი პრე რეკვიზიტებით. დაწესებულებამ აღნიშნა რომ იქნება ნაშრომების დაცვები, რომლის ანალიზის საფუძელზე შესაძლოა სხვა პრერეკვიზიტი დაემატოს ან არ დაემატოს. კვლევის უნარებს რაც შეეხება 13 ნაშრომიდან არის ფართო სპექტრი, საერთაშორისო ურთიერთობებიდან დაწყებული რელიგიის საკითხებით დამთავრებული. პროგრამა ცდილობს მოერგოს შრომის ბაზარს, ევროატლანტიკის კონცენტრაციის დამატება, სწორედ ამან განაპირობა რომ ყოფილიყო სპეციალისტები ევროპისა და ევროატლანტიკის მიმართულებით. საერთაშორისო ეკონომიკის ახალი ტიპის შემუშავება განაპირობა სწორედ იმან რომ ეკონომიკის სამინისტროდან იყო დაკვეთა რომ საელჩოებში საჭირო იყო კადრები ვინც იცის ეკონომიკა და შესაბამისი ენა. რაც შეეხება პოლიტიკის საგნის დამატებას რომ პოლიტიკის მეცნიერებების მიმართულებით უნდა იყოს ეს საგანი, დაწესებულების პროგრამა არ არის პოლიტიკურ მეცნიერებებში, არამედ არის საერთაშორისო ურთიერთობებში. ის საკითხები რომელიც უშუალოდ უკავშირდება ტერორიზმის საკითხებს და ტერორიზმის საწინააღმდეგოდ უსაფრთხოების საკითხებს, ამ სილაბუსში დაფარულია.
საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა და აღნიშნა რომ ბევრი საუბარი მოჰყვა პრაქტიკის კომპონენტის შეფასებას, პრაქტიკის შეფასების წესში აღნიშნულია,რომ შუალედური შეფასების მინიმალური ზღვარი წარმოადგენს 20 ქულას, ჩნდება კითხვა, შესაძლოა სტუდენტმა ნული ქულა მიიღოს დამსაქმებლის დახასიათების კომპონენტში და მაინც გავიდეს პრაქტიკის წერილობით ანგარიშზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა თანხმობა განაცხადა და აღნიშნა რომ შუალედური შეფასება მოიცავს როგორც წერილობით ანგარიშს ასევე რეკომენდაციას ეს არის ამ ორი ნაწილის ჯამი.
საბჭოს წევრმა გამოთქვა მოსაზრება რომ რადგან დიფერენცირებული არ არის შეფასება ის გახდეს წინაპირობა და ჩათვლის სახით იყოს (ან მიიღოს პრაქტიკა ან არა) და შემდეგ გადანაწილდეს 100 ქულა. საბჭოს წევრის თქმით, სისტემა არ არის გამართული, თუ დაწესებულება თვლის რომ დამსაქმებლის შეფასება არის მნიშვნელოვანი კომპონენტი, ის შეიძლება ინსტიტუციამ გახადოს წინაპირობა მომდევნო კომპონენტზე გასვლისთვის დიფერენცირებული შეფასების გარეშე. ამ შემთხვევაში, რეკომენდაციები რომლებიც გასცეს ექსპერტებმა სამართლიანია, თუ ქულა არის რიცხვებში მას სჭირდება გრადაცია.
დაწესებულების განმარტებით, საინტერესო მოსაზრებაა თუმცა შეიძლება ბევრი საკითხს მათ შორის პერსონალურ ურთიერთობებს ჰქონდეს ადგილი და სტუდენტს მძევლად ვერ გახდიან დამსაქმებლის რეკომენდაციით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:49
დასრულების დრო: 18:26

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, თუმცა დაამატა რამდენიმე რჩევა, რიგ რეკომენდაციებს შეუცვალა ფორმულირება, რეკომენდაციების ნაწილი გადაიტანა რჩევებში, ასევე 2.3 ქვეკომპონენტში საბჭოს მიერ დაემატა რეკომენდაცია, თუმცა შედეგად არ შეცვლილა ამ ქვეკომპონენტის შეფასება და ის ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან". საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია პროგრამის და ზოგიერთი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების გადახედვა და რეფორმულირება, მათი შორის გაზომვადობის მისაღწევად;
2. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პოლიტიკის მეცნიერების და უსაფრთხოების საკითხების სწავლება სავალდებულო კომპონენტის ფარგლებში;
3. რეკომენდირებულია სასწავლო კურსის „საერთაშორისო ტერორიზმი და უსაფრთხოება" შინაარსი და სათაური შესაბამისობაში მოვიდეს ერთმანეთთან;
4. რეკომენდებულია სასწავლო კურსში „დიპლომატიის ისტორია და სამსახური", ზოგიერთი თემისთვის მითითებული ლიტერატურა შეიცვალოს აკადემიური სანდო წყაროებით;
5. რეკომენდირებულია სასწავლო კურსი „სოციალური კვლევის მეთოდები" მორგებულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობების დისციპლინის თავისებურებას;
6. რეკომენდირებულია დაზუსტდეს პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში/ მემორანდუმებში პრაქტიკის მიზანი, ხანგრძლივობა და სტუდენტთა რაოდენობა;
7. რეკომენდებულია, შემდეგი სასწავლო კურსების: 1. ეკონომიკის საფუძვლები, 2. თანამედროვე პოლიტიკური იდეოლოგიები, 3. აშშ-ს პოლიტიკური სისტემა, 4. ძველი მსოფლიოს ისტორია, 5. კავკასია და საქართველო, 6. დიპლომატიის ისტორია და სამსახური და 7. საერთაშორისო ეკონომიკა სილაბუსებში შუალედური და დასკვნითი გამოცდების ფორმატისა და შეფასების მეთოდების განსაზღვრა და მეთოდებიდან გამომდინარე შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებისა და რუბრიკების მითითება;
8. რეკომენდებულია, მოხდეს სტუდენტის მხრიდან შეფასების გასაჩივრების (აპელაციის) პროცედურის ინსტიტუციონალიზება და უნიფიცირება.

რჩევები:

- სასურველია დაიხვეწოს და დაკონკრეტდეს პროგრამის პირველი მიზანი;
- სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი და დაზუსტდეს კვლევაში მონაწილე სუბიექტები;
- დაზუსტდეს/დაემატოს მოთხოვნა უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებიც არ ფლობენ ქართულ ენას (პროგრამა ქართულენოვანია);
- კურსი, კავკასია და საქართველო, გადავიდეს ზოგად საუნივერსიტეტო კომპონენტში ან შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი;
- სასურველია, სტუდენტი, კურსდამთავრებული და დამსაქმებელი იყოს წარმოდგენილი გრძელვადიანი სტატუსით თვითშეფასების ჯგუფში;
- სასურველია საერთაშორისო ეკონომიკის სასწავლო კურსის სილაბუსის მოდიფიცირება იმგვარად, რომ ცალკეულ პროგრამულ მიმართულებებზე გაძლიერებული იქნას რელევანტური სავაჭრო ბლოკებისა და ეკონომიკური შეთანხმებების საკითხების შესწავლა;
- სასურველი იქნება კურსს დაემატო ისეთი პრაქტიკული საგანი, როგორიცაა აკადემიური წერა, მიმართული საბაკალავრო ნაშრომის ფორმატისა და სტრუქტურის შესწავლისკენ;

- სასურველია შემუშავდეს პრაქტიკული კომპონენტის, მუშაობა ორგანიზაციაში, სილაბუსში დამსაქმებლის მხრიდან სტუდენტის შეფასების დეტალური კრიტერიუმები და რუბრიკები, რათა შეფასება იყოს გაზომვადი და სტუდენტი არ ფასდებოდეს მხოლოდ 20 ან 0 ქულით;
- საბაკალავრო ხარისხის მისაღებად სასურველია, დაზუსტდეს და დაკონკრეტდეს, საბაკალავარო ნაშრომის არჩევითობისა და არჩევითი კურსების ნაწილში, რომელი კურსის (6 კრედიტი) არის შესაძლებელი საბაკალავრო ხარისხის მიღება/საჭირო ცოდნისა და უნარების, ავტონომიურობის და პასუხისმგებლობის შესაბამისი კომპეტენციების გამომუშავების უზრუნველსაყოფად;
- სასურველია საბაკალავრო ნაშრომის მოსამზადებლად გაკუთვნილი 6 კრედიტი გაიზარდოს მინიმ 10 კრედიტამდე სტუდენტების კვლევისადმი მოტივაციის გაზრდის მიზნით;
- სასურველია უსდ-მ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დანერგოს პლაგიატის პროგრამა;
- სასურველია საგამოცდო ნაშრომების დაშიფვრის მექანიზმის დანერგვა;
- სასურველია, პროგრამაში საერთაშორისო ურთიერთობების/პოლიტიკის მეცნიერებების კვალიფიკაციის/პრაქტიკული გამოცდილების მქონე მეტი პერსონალის მოზიდვა და ჩართულობა პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სრულად მიღწევადობისთვის;
- სასურველია სამომავლოდ უსდ-მ შეიმუშავოს პროგრამული ბიუჯეტი;
- სასურველია, უსდ-მ აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლის მიზნით დანერგოს ნაშრომების შეფასებისას პლაგიატის პროგრამა;
- სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის უცხოელი ექსპერტებისგან იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთირთობები;
- სასურველია პროგრამის თვითშეფასების, მოდიფიცირების პროცესში სტუდენტების/კურსდამთავრებულების/დამსაქმებლების მეტი ჩართულობისა და აქტიურობის უზრუნველყოფა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წელში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ,,საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

18:30 სთ-ზე სხდომას შემოუერთდა დავით კაპანაძე.

მეორე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფილოლოგია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 8
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფილოლოგიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	კოსტავას 77ა, თბილისი, IV კორპუსი , 0171
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლოდაწესებულებისმიერსაბჭოსწევრ(ებ)ისაცილება
√ არა
საბჭოსწევრ(ებ)ისთვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო მნაძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემსთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა რომ სიღრმისეულად შეისწავლეს პროგრამა და გასცეს რეკომენდაციები. არგუმენტირებულ პასუხში მითითებული ყველა საკითხი თავიდან გაიარეს, რამდენიმე საკითხთან მიიღეს გადაწყვეტილება რიგი რეკომენდაციების გადამუშავებისა და შეერთების. ექსპერტმა აღნიშნა რომ შეფასების პროცესმა ჩაიარა თანამშრომლობით გარემოში, რაც მისი განმარტებით ამ პროცესისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები;
2. განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაცონალიზაციის თვალსაზრისით;
3. რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული;
4. დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე;
5. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა;
6. Certus-ის პროექტის დახურვიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან;
7. რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა დასხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი და განთავსდეს ვებგვერდზე, რათა ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის;
8. კვლევის კონცეფციის სტრუქტურისა დაპარამეტრების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტისა შესახებ ინფრომაცია აისახოს დოქტორანტურის დებულებაში;
9. რეკომენდებულია, პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პროგრამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები;
10. პროფესორის ასისტირება გახდეს პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე კომპონენტი;
11. მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება იმგვარად, რომ იგი სრულად მოიცავდეს პროგამის მიერ დასახულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს;

12. გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები, რათა გამოირიცხოს შესასწავლი მასალის/საკითხების განმეორება სხვადახვა კურსში;
13. რეკომენდებულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებადან/დარეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, WebofScience-ის, ან ERIHPLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პრორგამასა და დოქტორანტურის დებულებაში;
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად-წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დადგინდება;
15. გაძლიერდეს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განმახორცელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა;
16. მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებითვის საჭირო ყველა ხარჯის გათვალისწინება;
17. აუცილებელია პროგრამის შეფასების უკვე არსებულს (პროგრამის შედეგების შეფასება) დაემატოს ისეთი შეფასების მექანიზმები, რომელთა მეშვეობით იქნება შესაძლებელი პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გარემოების, პროცესებისა და პროცედურების კომპლექსურად შეფასება (მაგ.,პროგრამის ათვისების ხარისხი, პროგრამის თითოეული სწავლის შედეგისათვის სამიზნე ნიშნულების დადგენა და მიღწეული შედეგების სამიზნე ნიშნულებთან დადარება და პროგრამის სხვადასხვა სტატისტიკური მაჩვენებლების დინამიკა, პროგრამის გარე შეფასება, მათ შორის უსდ-ების და კვლევითი ინსტიტუციების მიერ, უცხოეთის პროგრამებთან დადარება და სხვ.);
18. კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით უნდა დაკორექტირდეს „საგანმანათლებლო პროგრამის დებულებაში“ არსებული ჩანაწერი დოქტორანტურის პროგრამის მოცულობის (180 კრედიტი) შესახებ;
19. თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მათ შორის ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შესწავლის მიმართულებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ვიზიტის ფარგლებში ნამდვილად ძალიან საინტერესო შეხვედრები გაიმართა, ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები, არის საკითხები რომლებზეც მხარეები შეთანხმდნენ. მისი თქმით, ცენტრალურ დონეზე ფაკულტეტს გააჩნია თავისი ბიუჯეტი, აქვს ამ მიმართულებით განსაზღვრული ცალკეული პროექტები, შიდა გრანტების სახით. უნივერსიტეტში ცენტრალურ დონეზე არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიდგომა, რომელსაც ბოლო სამი წელია ახორციელებს ინსტიტუცია, არამარტო სამეცნიერო პერსონალი, რომლებიც აფილირებულია, მათ შორის დოქტორანტებიც, რომელთაც აკადემიური თანამდებობა უკავიათ, კანონის შესაბამისად დოქტორანტს შეუძლია დაიკავოს აკადემიური თანამდებობა და განახორციელოს გარკვეული ტიპის აქტივობები. არსებობს ინდექსი, თუ მოხვდა გარკვეულ ბაზაში

განსაზღვრულია შესაბამისი პრემია, რომელიც გაიცემა კოპუსის შესაბამის ბაზაში გამოქვეყნების შემთხვევაში. დაწესებულება თავის პერსონალს, თუნდაც დოქტორანტს მთლიანად უფინანსებს აღნიშნულ ხარჯებს, რომელიც შეიძლება კონკრეტულ ჟურნალს ჰქონდეს, როდესაც დოქტორანტი დაწესებულებაში ირიცხება, მას გადასახადის 50% უბრუნდება და უფინანსდება კონკრეტული კვლევა.
დაწესებულებამ განმარტა სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის b2 პირობის c1-ით ჩანაცვლება იყო ტექნიკურად ყველაზე მარტივი რეკომენდაცია, რომელსაც სჭირდებოდა ის ძალისხმევა რაც სჭირდება პროგრამის აღწერაში b2 -ის წაშლას და და მის ნაცვლად c1-ის ჩაწერას. ეს თვალსაზრისთა სხვაობა გამოწვეულია იმ ინტერპრეტაციების სხვადასხვაგვარობის შესაძლებლობით რასაც ჩარჩო იძლევა, მიჯნა, რომელიც არსებობს b1 და c1 შორის ჩარჩოში საკმაოდ ბუნდოვანია. c1-ში ფიქსირდება პროფესიული ტექსტის იმპლიციტური წვდომა, მოცულობის უფრო დიდი სიგრძე ტექსტის და დეტალური სტრუქტურირებული ტექსტის პროდუცირებების მაკავშირებლების გამოყენება. ექსპერტს შესაძლოა ჰქონდეს მოსაზრება,რომ რაც უფრო მაღალია დონე მით უკეთესი, მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით აქ სერიოზულ პრობლემა იკვეთება, სამივე ატრიბუტი ან განსაზღვრება არარელევანტურია პროფესიული დისკუსისათვის, პროფესიულ დარგობრივი ტექსტები განსხვავებით მხატვრული ტექსტისა, თუნდაც პუბლიცისტური ტექსტისაგან იმპლიცისტურ ინფორმაციას არ მოიცავს. თუკი შინაარსობრივ სისტემაში არსებობს ის ფიგურები და საშუალებები რომელიც იმპლიცისტურ ქვეტექსტურ ინფორმაციას აგენერირებს ტექსტში, მაშინ ტექსტი არასწორადაა აგებული. იმპლიცისტურობა ტექსტის პროფესიული ხარისხის განმსაზღვრელი მარკერი არ არის. c1-ზე უფრო გრძელი ტექსტებია პრეზენტირებული, რასთან შედარებით გრძელი, ეს სრულებით გაუგებარია. ნებისმიერი ტექსტის სირთულე არ განისაზღვრება მოცულობით, განსაკუთრებით დღეს როდესაც მთელი თანამედროვე ლინგვისტიკა დგას იმ მოსაზრებაზე რომ ტექსტი შეიძლება იყოს ერთი სიტყვა, მესამე მარკერი ეს არის ოჰეზიური საშუალებები, დამაკავშირებელი საშუალებების გამოყენების უნარი, რომელიც ადამიანს აქვს არა მხოლოდ c1 დონეზე, არამედ A2-ზეც და ყველა იმ დონეზე სადაც მას შეუძლია ტექსტის პროდუცირება. ის რაც ძალიან მნიშვნელოვანია ზოგადი ინგლისურისათვის, სრულიად არარელევანტური შესაძლოა აღმოჩნდეს პროფესიული დარგობრივი ტექსტისათვის, რა აზრი აქვს იმ დონის ჩანაცვლებას სხვა დონით, სადაც კომპეტენციები თუ არ დუბლირდებიან, მოიცავენ პროფესიულ დარგობრივი დისკუსისათვის სრულიად არარელევანტურ მარკერებს. საქმე გვაქვს პროფესიულ დარგობრივ ტექსტებთან, ქიმიკოსი ან ფიზიკოსი, რომელიც ფლობს b2-ს, განსაკუთრებით უკეთ ახერხებს პროფესიული ტექსტის წვდომას, იმიტომ რომ მას აქვს პროფესიული ცოდნა, ვიდრე ადამიანი რომელიც შესაძლოა ფლობდეს c2 დონესაც კი. ამ დონეების ჩანაცვლების რაციონალურობა დადგა ეჭქვეშ. დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტებს რომ რაც უფრო მაღალია კომპეტენციის დონე, მით უკეთესია მაგრამ c1 დაბლოკავს b2-ს, ადამიანს, რომელიც აპირებს ისეთი თემის დამუშავებას როგორიც არის სვანური გლიტუალის სქემის აღმოჩენა, არ სჭირდება c1. b2 არ ბლოკავს c1-ს, სამაგიეროდ c1 ქმნის ხელოვნურ ბარიერებს იმ ადამიანებისათვის, რომელთაც ნამდვილად არ სჭირდება კვლევის განხორციელებისათვის b2. დაწესებულების განმარტებით, რეკომენდაციაზე, რომელიც ეხება კვლევით პრაქტიკას, მიღებულ იქნა კომენტარი რომ არ იქნა გაზიარებული ერთი ნაწილი რეკომენდაციისა. ინსტიტუციის განმარტებით რეკომენდაცია და მისი აუცილებლობა გაზიარებულია, თუმცა არ არის გაზიარებული მისი უნივერსალურობის საჭიროება. არსებობს კვლევები, საველე ლინგვისტიკის კვლევა, რომელიც რა თქმა უნდა მიიღებს პროექტის სახეს, რომელიც დოქტორანტის გრანტიდან ფინანსდება, არ იზიარებს დაწესებულება პრაქტიკის უნივერსალურობის საჭიროებას ყველა თემისათვის. დიდი სხვაობაა არგაზიარებასა და მისი უნივერსალურობის საჭიროების არგაზიარებას შორის. დაწესებულება თვლის რომ ეს რეკომენდაციას გათვალისწინებულია.
დაწესებულებამ ყურადღება გაამახვილა ფინანსურ მხარდაჭერასა და ბიუჯეტთან დაკავშირებულ საკითხზე, ერთი რეკომენდაცია ეხებოდა იმას რომ პროგრამის ფინანსურ

გეგმაში არ არის გაწერილი პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის, სამეცნიერო მივლინებების, ინტერნაციონალიზაციის, კონფერენციების ხარჯი. უნივერსიტეტს აქვს თავისი საფინანსო პოლიტიკა, შესაბამისად განსაზღვრულია ორი ბიუჯეტის სხვადასხვა ფორმა, ერთი ძირითადი ბიუჯეტი არის სკოლების, რომლებიც ფინანსურად ავტონომიურ ერთეულებს წარმოადგენენ და ასევე ამ სკოლებში შემავალი სტუდენტების ბიუჯეტი, რომელსაც ყოველი წლის დასაწყისში აკეთებს ინსტიტუცია, გათვლილია ყველა ის ფინანსური შესაძლებლობა და ხარჯი რომელიც გამიზნულია ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, კონფერენციების ორგანიზება, პუბლიკაციების გაკეთება, რომელიც ეხება აკადემიურ პერსონალს. გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში იყო 6000 ლარი, საიდანაც 5680 ლარი არის ათვისებული, არსებობს მონაცემები იმისა, თუ ვინ მიიღო საერთშორისო კონფერენციებში მონაწილეობა და ვინ გააკეთა პუბლიკაციები პროგრამის განმახორციელებელი პერსონალიდან დეპარტამენტის ბიუჯეტის გათვალისწინებით. დაწესებულება აცხადებს მზაობას დაასახელოს თანხა, რაც ფინანსური მხარდაჭერის თვალსაზრისით დაიხარჯა გაზაფხულის სემესტრში. ეს არის 5680 ლარი, რომელშიც შედის საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის მონაწილეობა, სკოპუსის და სხვა მნიშნელოვან ფაზებში მათი სტატიების გამოქვეყნება და მივლინებები, რომლებიც მათ სჭირდებოდათ თავიანთი სამეცნიერო აქტივობის განხორციელების თვალსაზრისით, რაც შეეხება ფინანსურ გეგმას, რომელიც გადაგზავნილი იყო ექსპერტთა კომისიისათვის, ფინანსური გეგმა არის სადოქტორო პროგრამის, რომელშიც გათვლილია პროგრამის სავარაუდო სტუდენტების რაოდენობიდან მათ მიერ გათვალისწინებული გადახდილი გადასახადი თუ რამდენად ჰყოფნის დოქტორანტისათვის აუცილებელ გრანტს. ექსპერტების, ხელმძღვანელების, თანახელძღვანელების და იმ აკადემიური პერსონალის სახელფასო ანაზღაურებას, რომელიც ამ კონკრეტული პროგრამის განხორციელებაში არიან ჩართულნი და ეს საჭიროა იმისთვის რომ დაწესებულება დარწმუნდეს თუ რამდენად მდგრადია ამ თვალსაზრისით პროგრამა და ხომ არ საჭიროებს დამატებით დონაციას დეპარტამენტის ან სკოლის ბიუჯეტიდან. დაწესებულების განმარტებით, არსებობს ორი სხვადასხვა ბიუჯეტი, პირველი, რომელშიც ერთი ტიპის ხარჯებია გათვლილი, ხოლო აკადემიური პერსონალის სამეცნიერო აქტივობა სხვა ტიპის ბიუჯეტშია გათვალისწინებული. რაც შეეხება კონცეფციის შეფასებასა და კრიტერიუმებს, გაგზავნილია დოკუმენტი რომელშიც კონცეფციის შეფასების კრიტერიუმები თავისთავად გულისხმობს, რომ ეს კომპონენტები არსებობს, თუმცა რადგან გაჩნდა რჩევა, ინსტიტუციამ გაითვალისწინა და კონცეფციის შეფასების კომპონენტები და კრიტერიუმები იმგვარი სახელწოდებით არის წარმოდგენილი რომ ყველასთვის ნათელი იყოს. რაც შეეხება ვებ-გვერდზე გამოჩენას, როგორც კი პროგრამაზე გამოცხადება მიღება კონცეფციის მიღებისა და შეფასების კრიტერიუმები გამოქვეყნდება ვებ - გვერდზეც, პოტენციურ დოქტორანტებს შესაძლებლობა ექნებათ არა მხოლოდ კონსულტაცია გაიარონ, არამედ თავიდანვე ფლობდნენ ინფორმაციას თუ რას მოითხოვს ინსტიტუცია პოტენციური დოქტორანტებისაგან კონცეფციის წარმოდგენის დროს.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დასვა შეკითხვა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, მისი თქმით, სამი გამომცემლობაა არჩეული და შესაბამისად დაინტერესდა თუ რა აქვთ საერთო ერთობლიობა, რამდენად ვალიდურია სამი გამომცემლობა, რაც შეეხება ბიუჯეტს, საბჭს წევრის თქმით, დასაფასებელია, რადგან ანგარიში გაკეთებულია 3 წელზე, არის საუბარი რომ აღებულია 4, ის დაინტერესდა თუ რა იყო ეს 4, ის დაინტერესდა თუ თუ მაგალითად 2 მოვიდა რა ხდება ასეთ შემთხვევაში, საიდან ხდება დაფინანსება.

საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სტუდენტს 50%-ის დაბრუნების მაგივრად უბრუნდება 1000ლ თან მესამე წელს, ისმის კითხვა თუ რამდენად კმარა 1000 ლარი მათ სადოქტორო კვლევაზე, ასევე კრედიტი მითითებულია 67, ხოლო შემდგომ ასევე მითთებულია დაბეგვრის შესახებ, ის დაინტერესდა რა დაბეგვრაა აღნიშნული, ასევე პროგრამა თუ ახალია, რატომ არის წარმოდგენილი დისერტაციები, არსებობდა თუ არა მანამდე სხვა პროგრამა.

ასევე, საბჭოს წევრების მიერ გაჟღერდა შეკითხვები კონცეპტის და იმის შესახებ თუ რამ გამოიწვია პროგრამის განახლება.
დაწესებულების განმარტებით, კონცეპტი ეს არის ყველა შესაძლო საშუალებების ნაერთი, კონგლომერატი, რომელმაც შესაძლოა რაიმე აღნიშნოს. ეს არის ემოცია, ველები, ეს არის ყველა შესაძლო საშუალების მობილიზაციის შედეგი, რომელმაც შეიძლება გამოხატოს რაიმე კონცეპტუალური შინაარსი მაგრამ არა მნიშნელობა. თანამედროვე ლინგვისტიკაში დიდი მიჯნაა შინაარსსა და მნიშვნელობას შორის, თუკი ტრადიციულ ლექსიკონში გააჩნია მნიშვნელობა, თანამედროვე ლინგვისტიკაში, კერძოდ კი კოგნიტოლოგიაში დაწესებულება ოპერირებს ისეთი მინიმალური საბაზისო ცნებებით, როგორიც არის კონცეპტი. კონცეპტი არ უდრის ფილოსოფიურ ცნებას, ეს არის ყველა შესაძლო ერთეულების მობილიზაცია რაიმე კონცეპტუალური შინაარსის აღსაღნიშნად. იგი არის ბაზისური მაგრამ არა ელემენტარული. რაც შეეხება ბაზრის კვლევას, ამოსავალი იყო რაც შეიძლება ფართო შესაძლებლობების გამოყენება იმ უნარებისა, რომელიც გენერირდება პროგრამის ფარგლებში. ეს არის ტექსტის რედაქტირება, მუშაობა, ეს არის ახალი რედაქციები, სადაც ყველაზე ხშირად ცხადდება ვაკანსიები მთავარი რედაქტორის პოზიციაზე. დაწესებულებამ განაცხადა რომ ამ რედაქციებთან აქვთ სერიოზული ურთიერთობა, ისინი სერიოზულად არიან ჩართულები პროგრამის კონსტრუირებაში. მათ აქვთ შესაძლებლობა წაიყვანონ დაწესებულების დოქტორანტები, რედაქციები შერჩეულია შესაძლებლობების ექსტენციისათვის, რომელიც დღეს ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს ბაზარზე დასაქმების თვალსაზრისით.
ინსტიტუციის განმარტებით, ძველი პროგრამა იყო ლინგვისტურად ცენტრირებული პროგრამა, მის ფარგლებში ხორციელდებოდა კვლევები მხოლოდ ლინგვისტიკაში. ლინგვისტიკა აუცილებლობით გულისხმობს ფილოლოგიას, მაგრამ ფილოლოგია აუცილებლობით არ გულისხმობს ლინგვისტიკას. აქ შეიძლება ნაგულისხმები იყოს ლინგვოკულტუროლოგია,კ ულტუროლოგია, აქსიოლოგია. დაწესებულებამ ასევე განმარტა, რომ ეს არის ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, 120 ბრძანება მხოლოდ 1 კვალიფიკაციას ითვალისწინებდა, ეს იყო ფილოლოგია, ფილოლოგია მოიცავდა ლინგვისტიკასაც და ენების შესწავლასაც. დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 0232 ლიტერატურა და ლინგვისტიკა. აღნიშნულის ქვეშ მოექცა ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით ფილოლოგია, ეს არ არის ტიპიურად მხოლოდ ენის დაუფლების საკითხი, ეს არის ლინგვისტური კლევის საკითხი, რომელიც განაპირობა განსხვავებულმა გადანაწილებებმა.
გაჟღერდა კითხვა იმის შესახებ თუ რატომ ითხოვდნენ გამომცემლობები დოქტორის ხარისხის მატარებელ ადამიანს, ვინაიდან დოქტორანტურის საფეხური არის სამეცნიერო კვლევა.
ინსტიტუციის განმარტებით, უნივერსიტეტს საგამომცემლო საქმე აქვს phd-ის ერთ-ერთ მოდულად. საგამომცემლო საქმე, ერთი მხრივ მოიცავს ტექნიკურ ნაწილს, ხოლო მეორე მხრივ მოიცავს ტექსტზე ცენტრირებულ კვლევებს, მათ შორის ტექსტის ინფორმაციული პროცესინგი, ეს არის ტექსტის ანალიზურ სინთეზური დამუშავება, რომელიც არ არის მარტივი ტექნიკა. ამ ტექნიკის თეორიული ნაწილი ჰუმანიტარიაში არ იქაჩება რადგან პროგრესირების ალგორითმი მუშავდება ტექნიკოსების მიერ და ჰუმანიტარები იყენებენ მხოლოდ იმ ტექნიკას, რომელიც მუშავდება ტექნიკურ მეცნიერებებში. სარედაქციო საქმიანობა ნამდვილად გულისხმობს გაცილებით მეტს ვიდრე ჩვეულებრივი რედაქტირება, რომელიც შესაძლოა შეასრულოს მასტერმაც.
დაწესებულებამ განმარტა რომ მიიღო რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ benchmarking-ის შესახებ ინფორმაცია მწირე იყო, რისი გაზიარებაც განხორციელდა, თუმცა აღმოჩნდა რომ სხვა უნივერსიტეტების პროგრამების მოხმობისა და ანალიზის შემდეგ, სისუსტე თუ ძლიერი მხარეები არ მოდიფიცირდა. პროგრამის ძლიერი მხარე არის სააზროვნო სივრცეების კვეთაზე, პერიფერიაზე მუშაობის შესაძლებლობა, რაც დეტალურად არის გააზრებული, მათ შორის იმ უნივერსიტეტების პროგრამაში, სადაც ანთროპოლოგია ჩართულია მაგრამ ლინგვისტურ ანთროპოლოგიაზე მინიშნებაც კი არ არის.

საბჭოს წევრ, თეონა მატარაძის განმარტებით, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში არ იყო წარმოდგენილი benchmarking-ის დოკუმენტი, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა რომ აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილი იყო, ასევე დამატებით გამოთხოვილ იქნა ვიზიტის მიმდინარეობის დროს.
დაწესებულებამ დასაქმებასთან დაკავშირებით განმარტა რომ უნივერსიტეტში წარმოებს კვლევები, რომლის საფუძველზე იგეგმება თუ როდის გამოაცხადონ ადგილი. თუ გამოცხადებულ თემასთან დაინტერესება არ იკვეთება, განაცხადი საერთოდ არ შემოდის. მეცნიერებისა და პროფესორებისათვის ეს არის ძალიან საინტერესო კვლევა. ხალხი სამართლის მიმართულებით, რომელიც დასაქმებულია საკმაოდ მაღალ თანამდებობაზე უჩნდებათ სურვილი დოქტორანტურაში მიღებაზე და სურთ ჩამოყალიბდნენ როგორც მეცნიერები. საბჭოს წევრმა დააკონკრეტა შეკითხვა, თუ რატომ უჩნდება გამომცემლობას სურვილი დოქტორის ხარისხის მქონდე დოქტორანტების აყვანის და არა უბრალოდ კარგი მცოდნე პიროვნებების.
საბჭოს წევრი მიუბრუნდა პროგრამის სტატუსის ნაწილს თუ რამ გამოიწვია ახალი პროგრამის სტატუსი, არსებული პროგრამის კვალიფიკაცია აღარ მოერგო ახალ ჩარჩოს კვალიფიკაციას თუ ინსტიტუციამ შეიცვალა გეზი, ახალ ჩარჩოსთან გადაყვანის პროცედურის აუცილებლობა თუ იყო, მაშინ პროგრამა ახალ სტატუსს არ იღებს აკრედიტაციის დებულების მიხედვით. დაწესებულებამ განმარტა რომ ახალმა საკვალიფიკაციო ჩარჩომ მეტი დაკონკრეტება შემოიტანა, არის ორი სხვადასხვა დამოუკიდებელი ქუდი, ლინგვისტიკასთან ერთად შემოტანილია ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი, ეს არის ანთროპოლოგიური ნაწილი, შესაბამისად დამატებულმა ჩაღრმავებამ განაპირობა ახალი პროგრამის შექმნა. დაწესებულების განმარტებით, ვერ მოხდებოდა რეაკრედიტაცია, რადგან ძველი პროგრამის მიზნები შედარებით განსხვავებულია.
საბჭოს წევრმა დასვა შეკითხვა პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, მითითებულია 60 კრედიტი და იგულისხმება სასწავლო კომპონენტი, თუმცა კვლევითი კომპონენტისთვის უნდა იყოს დაწესებული ვადა, რომელიც მინიმუმ სამი წელია. საბჭოს წევრის თქმით, რომ ჩანდეს თუ რამდენი წელი უნდა დაუთმოს სტუდენტმა კვლევით კომპონენტზე მუშაობას, უფრო გამჭვირვალე იქნებოდა. ასევე გაჟღერდა შეკითხვა სასწავლო კომპონენტში სწავლის შედეგების ფორმულირებასთან დაკავშირებით, კერძოდ, უმჯობესი იქნებოდა ახალი მოთხოვნების შესაბამისად გაზომვადი ფორმულირებით ჩამოყალიბებულიყო, რაც პროგრამაზე მომუშავე ჯგუფს გაუადვილებდა სტუდენტების მიერ ამ შედეგების გაზომვას.
დაწესებულებამ ისაუბრა წლებთან მიმართებაში დაკონკრეტებაზე, კერძოდ უმაღლესი განათლების შესახებ კანონი წელს არ გულისხმობს კვლევასთან მიმართებაში, გულისხმობს მთლიანად მინიმუმ სადოქტორო საფეხურის. დოქტორანტურის დებულებაში ჩანაწერი არსებობს და რომც არ არსებობდეს იმპერატიულ ჩანაწერს ვერ გაცდება დაწესებულება, დოქტორანტი ხელშეკრულების გაფორმებისას, არამარტო შიდა ნორმატიულ აქტებზე აწერს ხელს, არამედ საკონონმდებლო აქტებზეც. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, რთულია გაზომვადი შედეგების დაფიქსირება მაშინ, როდესაც უცნობია როგორი ტიპის კვლევა იქნება აქტუალური. მინიმალური კომპეტენციები რაც კვლევისთვის იყო განსაზღვრული ასახულია, რომელიც გაზომვადიცაა და მითითებულია თვითშეფსებაში.
რაც შეეხება პასუხს თვითშეფასებაზე, ინსტიტუციამ განმარტა რომ მათემატიკის პროგრამა არ არის რენტაბელური, უნივერსიტეტში არის იმ ტიპის პოლიტიკა რომ უფრო გაყიდვადი პროგრამები რომელთაც მეტი შემოსავალი შემოაქვს ინახავს ნაკლებად რენტაბელურ პროგრამებს. უნივერსიტეტში ყველა სადოქტორო პროგრამაზე მოქმედებს ე.წ სამეცნიერო საკონსულტაციო საბჭო, რომელშიც დეპარტამენტიდან ამ დარგის სპეციალისტები არიან გაერთიანებული. ისინი მთელი სადოქტორო პროგრამის სწავლების მანძილზე ეტაპობრივად გარკვეულ მონიტორინგს უწევენ სამეცნიერო აქტივობის თვალსაზრისით, პუბლიკაციებისთვის საინტერესო შეთავაზებების რეკომენდირებას დოქტორანტის კვლევაზე. რაც შეეხება ოთხ დოქტორანტს, რამდენი ადგილიც ცხადდება ის ნიშნავს ზღვრულ რაოდენობას. დაწესებულებამ შეაფასა 4 დოქტორანტის შემთხვევაში რამდენად მდგრადი და

ფინანსურად გამართულია პროგრამა, მაგრამ თუ აღმოჩნდება რომ მოვიდა 2 დოქტორანტი, სწორედ მას ემსახურება ფინანსური ბიუჯეტი, ისმის კითხვა ეს ფორმა ხომ არ ითხოვს სხვა დეპარტამენტისგან თუ სკოლისაგან დამატებით დახმარებას. უნივერსიტეტის სხვადასხვა სკოლები ფინანსურად ავტონომიური უფლებებით სარგებლობენ, ისინი ერთმანეთში გასცემენ კრედიტებს, შესაბამისად ყიდულობენ გარკვეულ საგნებს. საფინანსო დეპარტამენტი სკოლებთან შეთანხმებით ადგენს სხვადასხვა სკოლებში 1 კრედიტის ღირებულებას საკუთარი სკოლისათვის რომ მიღებულ იქნას სერვისი.
საბჭოს წევრის განმარტებით, დაბეგვრა არის სახელმწიფოს პრეროგატივა და ტერმინი არასწორად არის შერჩეული. დაბეგვრა ადგენს კერძო თუ სხვა იურიდიული პირის მიმართ გადასახადის მოცულობას, შიდა ინსტიტუციური მოწყობაა ის რაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა. დაწესებულება დაეთანხმა აღნიშნულს და გამოაცხადა შესწორების მზაობა, ასევე ინსტიტუციის წარმომადგენლის განმარტებით, ცალკე რეჟიმად უნდა იყოს გამოყოფილი, სტანდარტების დიდი ნაწილი არის ბიუროკრატიული დოკუმენტები, რომლებიც არ უნდა შეეხოს სადოქტორო საფეხურს. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხური განსხვავდება სადოქტოროსგან. მეცნიერება არის ინდივიდუალური საკითხი, უშუალოდ კონკრეტულ ფაკულტეტზეც კი. დადებითად მიიჩნეოდა თუ დოქტორანტურის საკითხს უფრო შინაარსობრივად განიხილავდნენ.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა 2.2 ქვესტანდარტში გაწერილი რეკომენდაციით, ,,რეკომენდებულია პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პრორგამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები“ ის დაინტერესდა ეთანხებოდა თუ არა დაწესებულება აღნიშნულ რეკომენდაციას.
დაწესებულებამ განმარტა რომ სასწავლო კომპონენტების ის დიფერენციაცია რომელიც არის პროგრამაში, ის შედეგები, რომელიც დაზუსტდა ექსპერტთა რეკომენდაციის გათვალისწინებით, აბსოლუტურად სრულად ასახავს სტრუქტურას და პროგრამის შინაარსობრივ განსაზღვრებას, ეს არის ძირითადი არჩევითი ბლოკი, გამიჯნულია სასწავლო კომპონენტი ასევე გამიჯნულია კვლევითი კომპონენტი, დამატებითი სეგმენტაციის საჭიროებას ინსტიტუცია ვერ ხედავს. აღნიშნულ რეკომენდაციას დაწესებულება არ იზიარებს.
ექსპერტი დაუბრუნდა 2.2 კომპონენტს და აღნიშნა რომ მოდულები და ქვედარგები პროგრამაში რასაკვირველია არის, უბრალოდ მოდულებად არ არის გაწერილი. მისი თქმით, დაწესებულებამ განმარტა რომ ამ მოდულების დაზუსტება მოხდება პროგრამაში, არის ორი მოდული, თუ ეს იქნება ქვედარგები, დაწესებულება თავად გადაწყვეტს. სამაგიდო წიგნთან დაკავშირებით ექსპერტებმა აღნიშნეს რომ იყო დამატებით გამოთხოვილი მასალის სახით, ფაილს ჰქვია ,,ანალოგიურ პროგრამებთან დადარების დოკუმენტი,, სადაც დადარება არ არის, მიმდინარეობს ნარატივის სახით აღწერა იმისა თუ რა უპირატესობები აქვს საქართველოს უნივერსიტეტის პროგრამას და იყო ასევე ასოცირებული პროფესორის წერილი, რომელიც მათი განმარტებით, სამაგიდო წიგნად ვერ გამოდგებოდა იმ მიზეზის გამო რომ დათარიღებულია 27 მაისით, მაშინ როდესაც უკვე თვითშეფასება დაწესებულებას შემოტანილი ჰქონდა.
საბჭოს თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისათვის,ხოლო დაწესებულების წარმომადგენელებმა დააყენა შუამდგომლობა იმავე დღიდან შესულიყო გადაწყვეტილება ძალაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო 19:52
დასრულების დრო: 20:39

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასებები, კერძოდ რიგ ქვეკომპონენტებში საბჭოს მიერ დაემატა რეკომენდაციები, რამდიმე

რეკომენდაცია კი გადავიდა რჩევებში, შედეგად 4.1 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ხოლო 4.2 ქვეკომპონენტი შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა შედეგად არ შეცვლილა მე-4 სტანდარტის შეფასება.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებში აღწერილი იყოს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მოდულები მათი დარგობრივი თავისებურებები და მახასიათებლები;
2. რეკომენდებულია, პროგრამის სწავლის შედეგები იყოს ნათელი და კონკრეტული;
3. დაკონკრეტდეს ინფორმაცია პროგრამის მიზნებისა და შედეგების ურთიერთშესაბამისობის თაობაზე;
4. რეკომენდირებულია პროგრამისა და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იყოს გაზომვადი;
5. ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვროს ინგლისური ენის C1 დონეზე ცოდნა;
6. Certus-ის პროექტის დახურვიდან გამომდინარე, მოხდეს მისი ამოღება ენის კომპეტენციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნუსხიდან;
7. რეკომენდებულია, შემუშავდეს კვლევითი კონცეფციის სტრუქტურის, მოცულობისა და სხვა მახასიათებლების შესახებ სარეკომენდაციო დოკუმენტი რომელიც ხელმისაწვდომი იყოს დაინტერესებული პირებისათვის;
8. რეკომენდებულია, პროგრამაში დეტალურად აისახოს არა მხოლოდ ძირითადი და არჩევითი საგნები, არამედ, მოდულები/ქვედარგები, როგორც პრორგამის სტრუქტურა და მასთან შესაბამისი სავალდებულო და არჩევითი საგნები;
9. პროფესორის ასისტირება გახდეს პროგრამის სავალდებულო სტატუსის მქონე კომპონენტი;
10. მოხდეს პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერება იმგვარად, რომ იგი სრულად მოიცავდეს პროგრამის მიერ დასახულ მიზნებს და მისაღწევ შედეგებს;
11. რეკომენდებულია საგანმანათლებლო პროგრამაში მიეთითოს პროგრამის ხანგრძლივობა;
12. გადაიხედოს სავალდებულო და არჩევითი კურსები, რათა გამოირიცხოს შესასწავლი მასალის/საკითხების გამეორება სხვადახვა კურსში;
13. რეკომენდებულია ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე კვლევების პოპულარიზაციისა და ინტერნაციონალიზაციის უზრუნველყოფის მიზნით სავალდებულო მოთხოვნა გახდეს, პროგრამით განსაზღვრული ორი სამეცნიერო ნაშრომიდან ერთ-ერთის გამოქვეყნება საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად/რეცენზირებად/იმპაქტფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში/შრომებში ან უცხოეთის სამეცნიერო გამოცემებში, იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში რომლებიც მოხვედრილია საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში (EBSCO, SCOPUS, Web of Science-ის, ან ERIH PLUS). აღნიშნული საკითხი აისახოს სადოქტორო პრორგამასა და დოქტორანტურის დებულებაში;
14. რეკომენდებულია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად - წესი, რომლის მიხედვით პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისთვის დოქტორანტთა ხელმძღვანელობის მაქსიმალური რაოდენობრივი ზღვარი დადგინდება;
15. რეკომენდებულია გამკაცრდეს მოთხოვნები აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევით პროდუქტიულობაზე;

16. დაზუსტდეს ბიუჯეტში პროგრამის ფუნქციონირებისთვის დოქტორანტთა მინიმალური რაოდენობა და მითითებული იქნას ხარჯების დაფარვის წყაროები;
17. ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები პროგრამის განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
18. თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობის და საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინების მიზნით უნდა მოხდეს პროგრამის დადარება უცხოური უნივერსიტეტების ანალოგიურ პროგრამებთან, მათ შორის ამ პროგრამების ფარგლებში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შესწავლის მიმართულებით.

რჩევები:

- განხორციელდეს ეფექტური ქმედებები პროგრამის ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით;
- სასურველია გაფართოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი;
- სასურველია, სადოქტორო მოდულებს სათაურში მითითებული ჰქონდეს კურსის შინაარსი. აღნიშნული ფაქტორს მნიშვნელობა ექნებოდა დოქტორის დიპლომის დანართისთვისაც;
- სასურველია, პროგრამისათვის გადამუშავდეს ფილოლოგიის დარგისათვის მნიშვნელოვანი გამოცემების არსებული სარეკომენდაციო სია, რომელშიც შევა საქართველოში და უცხოეთში გამოცემული მაღალი ხარისხის პერიოდული სამეცნიერო გამოცემები, მათ შორის, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში შესული სამეცნიერო ჟურნალები. სიის განახლება სასურველია პერიოდულად;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე - გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა და დანერგოს წამახალისებელი მექანიზმები სტუდენტებისთვის საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების მოპოვებაში, რათა პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა განხორციელდეს წარმატებით;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით - კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უნივერსიტეტმა განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხულ დოქტორანტებს, სწავლის პროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ექნებათ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა;
- სასურველია, დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით. შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე - თანახელმძღვანელებად - განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რომლის მიხედვით, გაზარდის საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობას - გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითი კომპონენტის გააქტიურებას;
- გაძლიერდეს ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის განმახორცელებელი პერსონალის სამეცნიერო აქტივობის ფინანსური მხარდაჭერის პრაქტიკა;
- მოხდეს პროგრამის ფინანსურ გეგმაში პროგრამის წარმატებული ფუნქციონირებითვის საჭირო ყველა ხარჯის გათვალისწინება;

- მიზანშეწონილია გადაიხედოს აკადემიური პერსონალის კითხვარები აკადემიური პერსონალისთვის დასმული კითხვების ნაწილში;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვების შემთხვევაში უნდა იყოს გათვალისწინებული დოქტორანტურის პროგრამის თავისებურებები (უმაღლესი განათლების საფეხური, პროგრამით მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი, პროგრამის მიზნები და ა.შ.), მათ შორის უნდა გაიზარდოს რესპოდენტთა შემადგენლობაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და კვლევითი ორგანიზაციების წილი.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენაშპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 4 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი 1 წელში რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოდგენით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს უნივერსიტეტის ,,ფილოლოგიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 4 წლის ვადით, 1 წელიწადში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.

მესამე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.12. 2019 N238
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	

		ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
12	განხორციელების ადგილი	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ.თბილისი, 0114, საქართველო
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - მარიამ შემგელიამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა კოლეგებს, ინსტიტუციის წარმომადგენლებსა და საბჭოს წევრებს, მისი თქმით, 29 ივნისს ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე განხორციელდა არაგეგმიური მონიტორინგი შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედში, აღნიშნული მონიტორიგის მიზანი იყო ორი საგანმანათლებლო პროგრამის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების ,,ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია'' შესაბამისობის შეფასება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან. შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის ვიზიტის გარეშე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შედეგად მომზადდა დასკვნა, რომლის გაცნობის შემდეგაც დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში არგუმენტირებული პასუხი. აღნიშნულ პასუხს ექსპერტები გაეცნენ, დაწესებულება დაეთანხმა ყველა რეკომენდაციას.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
2. პროგრამის შედეგებში კომპეტენციები გაწერილი იყოს მკაფიოდ;
3. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური;
4. დაკორექტირდეს ტერმინი „სპეციალობა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად მიეთითოს „ძირითადი სწავლის სფერო“;
5. დაკორექტირდეს ჩანაწერი პროგრამის მიღების წინაპირობაში „ისწავლოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე“ ;
6. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;
7. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
8. რეკომენდირებულია შეფასების გამჭვირვალე მიდგომების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა (შეფასების კომპონენტები და ქულათა გრადაცია) იყოს გასაგები სტუდენტისათვის, ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები;
9. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ინსტიტუციამ განმარტა რომ გაიცა ძალიან ობიექტური რეკომენდაციები, რომლებიც უკვე გათვალისწინებულია მათ მიერ. პროგრამის კურიკულუმში, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული სწავლის შედეგებში გამოიყენეს ზმნები, დაკორექტირდა ახლანდელ დროში. ასევე პროგრამის შედეგებში კომპეტენციები გაიწერა მკაფიოდ, პროგრამის შედეგების ფორმირება ყველა მონაწილე სასწავლო კურსის შედეგები კორექციის შემდეგ გაზომვადი და რეალისტურია. შესწორებულია მითითებული ადამიანის კურსების ანატომია სამედიცინო ფიზიკა, ბიოფიზიკა და სამედიცინო ქიმიის სწავლის შედეგები და შესაბამისობაშია მოყვანილი პროგრამის სწავლის შედეგებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ დასვა შეკითხვა, იმის შესახებ თუ როდის განახორციელეს ცვლილებები, იყო თუ არა ეს არაგეგმიური მონიტორინგის შესახებ დასკვნის საფუძველზე. მან განმარტა რომ საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს დასკვნის მომენტში ფაქტობრივი გარემოებებით, შემდგომ, ინტსტიტუციის მიერ მაკორექტირებელი ღონისძიებების განხორციელებას საბჭოს წევრები მხედველობაში ვერ იღებენ.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ აღნიშნა რომ კლინიკური დისციპლინების მიხედვით კლინიკური უნარების შეფასება ბევრად უფრო პრაქტიკულია. შეფასება სტუდენტის ზედამხედველობის მხრიდან და კლინიკური უნარების მსგავსად შეფასება მისი მოსაზრებით უკვე აღარ ხდება. მისი განმარტებით, ობიექტური შეფასებისთვის არსებობს ,,OSCE”, რომლითაც ობიექტურად ხდება სტუდენტის უნარების შემოწმება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 21:10
დასრულების დრო: 21:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, თუმცა ფორმულირება შეუცვალა 2.6 ქვეკომპონენტში გაწერილ პირველ რეკომენდაციას.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
2. პროგრამის შედეგებში კომპეტენციები გაწერილი იყოს მკაფიოდ;
3. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური;
4. დაკორექტირდეს ჩანაწერი პროგრამის მიღების წინაპირობაში „ისწავლოს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის სპეციალობაზე“;
5. დაკორექტირდეს ტერმინი „სპეციალობა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ შესაბამისად მიეთითოს „ძირითადი სწავლის სფერო“;
6. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;
7. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში „პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის“ განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
8. რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით;
9. სასწავლო კურსებში შეფასების მეთოდები შეირჩეს კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, ისე, რომ მოხდეს სწავლის შედეგების დადასტურება და გაზომვა.

რჩევები:

- სწავლის მეთოდების შერჩევისას მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადის მიცემის საკითხი, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

მეოთხე საკითხი: შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.12. 2019 N239
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის მაგისტრი
9	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
10	სწავლების ენა	ქართული
11	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
12	განხორციელების ადგილი	მეფე სოლომონ მე-2 ის ქუჩა, N4, N6, ქ.თბილისი, 0114, საქართველო
13	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - მარიამ შემგელიამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში.
2. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური.
3. სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს სწავლების საფეხურის მიხედვით. რიგ ნაწილში სწავლის შედეგები სამაგისტრო და საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში იყო იდენტურად გაწერილი.
4. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში.
5. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად.
6. დაკორექტირდეს და დაზუსტდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა.
7. რეკომენდირებულია, მაგისტრებისთვის მისაღწევი პრაქტიკული უნარების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იყოს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტის აღმწერი, რაც გამიჯნავდა ზემოთხსენებულს დაწესებულებაში მოქმედი იმავე დეტალური სფეროს და დასახელების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური უნარების სირთულისგან.
8. რეკომენდირებულია შეფასების გამჭვირვალე მიდგომების შემუშავება, რათა შეფასების სისტემა (შეფასების კომპონენტები და ქულათა გრადაცია) იყოს გასაგები სტუდენტისათვის, ობიექტური და გამოირიცხოს სუბიექტივიზმის ელემენტები.

დაწესებულების განმარტებით გათვალისწინებულ იქნა ყველა რეკომენდაცია, რითაც ისინი პროგრამაზე მიიღებენ უკეთეს შედეგს. მათი განცხადებით გაურკვეველი იყო სამაგისტრო ნაშრომის საჯარო დაცვაზე წინაპირობა, მათი განმარტებით წინაპირობა იქნა დაკონკრეტებული, წინაპირობა იყო პრაქტიკის ჩაბარება. რეკომენდირებული იყო ასევე შეფასების გამჭვირვალე მიდგომების შემუშავება, შეფასების კომპონენტი და ქულათა გრადაცია, რაზეც ინსტიტუციამ იმუშავა და აბსოლუტურად ყველა პროგრამაში კურიკულუმსა და სილაბუსში შეიტანა ცვლილებები.
საბჭოს წევრმა აღნიშნა რომ ექსპერტების მხრიდან იქნა გამოთქმული რომ ბიუჯეტი არ იყო წარმოდგენილი, ის დაინტერესდა ფიზიკურად არ არსებობს ბიუჯეტი თუ ტექნიკურად ვერ მოხდა მიწოდება ექსპერტებისათვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კონკრეტულად პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ ეს არის კვალიფიკაციასთან შესაბამისობის არაგეგმიური მონიტორინგი, იმ დოკუმენტებში, რომლებიც მოითხოვა კვალიფიკაციის ჩარჩოს შესაბამისობამ არ იყო მოთხოვნა ბიუჯეტზე, ფაკულტეტს დაწესებულების განმარტებით აქვს თავისი ბიუჯეტი, რომელიც მთელი წლის განმავლობაშია განაწილებული, აგრეთვე მოთხოვნილი არ იყო საუკეთესო პრაქტიკა, ფაკულტეტს აქვს საუკეთესო რეაბილიტაციის საუნივერსიტეტო კლინიკა, სადაც სტუდენტები ითვისებენ პრაქტიკულ უნარებს. სწორედ ეს იყო მიზეზი რის გამოც არ იქნა გადაგზავნილი დოკუმენტები. ექსპერტმა დაადასტურა რომ არ ჰქონიათ წვდომა ბიუჯეტის დოკუმენტთან, არ იყო მოთხოვნილი და შესაბამისად არ იყო წარდგენილი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბიროშ ესვენება

დაწყების დრო: 21:40

დასრულების დრო: 21:50

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და რეკომენდაციები, თუმცა ფორმულირება შეუცვალა 2.6 ქვეკომპონენტში გაწერილ პირველ რეკომენდაციას.

საბოლოოდ, დაწესებულებისათვის განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები შემდეგნაირად გამოიყურება:

რეკომენდაციები:

1. პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს აქტიური ზმნებით ახლანდელ დროში;
2. პროგრამის შედეგების ფორმირებაში ყველა მონაწილე სასწავლო კურსის სწავლის შედეგები იყოს გაზომვადი და რეალისტური;
3. სწავლის შედეგების ფორმულირება მოხდეს სწავლების საფეხურის მიხედვით;
4. მოხდეს სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების ფორმულირება ახლანდელ დროში;
5. დაკორექტირდეს სილაბუსებში სწავლის შედეგებში კომპეტენციების განსაზღვრებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ შესაბამისად;
6. დაკორექტირდეს და დაზუსტდეს „სამაგისტრო ნაშრომის“ წინაპირობა;
7. რეკომენდირებულია, მაგისტრებისთვის მისაღწევი პრაქტიკული უნარების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იყოს, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელი ელემენტის აღმწერი, რაც გამიჯნავდა ზემოთხსენებულს დაწესებულებაში მოქმედი იმავე დეტალური სფეროს და დასახელების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში ანალოგიური უნარების სირთულისგან;
8. რეკომენდირებულია კლინიკური უნარების შეფასებისთვის შემუშავდეს სამოქმედო გეგმა OSCE-ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა დანერგვასთან დაკავშირებით.

რჩევები:

- სწავლის მეთოდების შერჩევისას მაქსიმალურად იქნას გათვალისწინებული სასწავლო კურსების სპეციფიკა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადის მიცემის საკითხი, ოქმში დაფიქსირებული რეკომენდაციების შესრულების მიზნით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 4

მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული, აკრედიტაციის დებულების 31 - ე მუხლის 22 - ე პუნქტის საფუძველზე შპს სასწავლო უნივერსიტეტ გეომედის "ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით დაევალოს 60 კალენდარული დღის ვადაში შეასრულოს რეკომენდაციები რომლებიც ოქმშია მოცემული.

მეხუთე საკითხი: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილების დანართში გამოვლინდა გარკვეული ტექნიკური ხარვეზები, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილების N1 დანართში გასწორდეს აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი და მიეთითოს პროგრამის განხორციელების ადგილი.
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726054 გადაწყვეტილების N1 დანართში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2028 წლის 20 ივლისი და დაემატოს პროგრამის განხორციელების ადგილი: ბათუმი, რუსთაველის/ნინოშვილის ქუჩა № 32/35, 6010, საქართველო.

მეექვსე საკითხი: „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გადაწყვეტილების N1 დანართში გასწორდეს აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი მიეთითოს პროგრამის განხორციელების ადგილი.

საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ფიზიკის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 726053 გადაწყვეტილების N1 დანართში აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღად მიეთითოს - 2028 წლის 20 ივლისი და დაემატოს პროგრამის განხორციელების ადგილი: 6010, საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32 უნივერსიტეტის II კორპუსი, II სართული.

მეშვიდე საკითხი: “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გაიანე სიმონიამ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182 გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“

ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ”
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182
გადაწყვეტილებისსარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.1 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).“
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,“სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ამერიკული
ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ”
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654182 გადაწყვეტილებისსარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.2 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ამერიკული ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).“

მერვე საკითხი: “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გაიანე სიმონიამ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო

პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.1 2.,,ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,“სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654183 გადაწყვეტილებისსარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.1 2.,,ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ქართულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

მეცხრე საკითხი: “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოსწევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გაიანე სიმონიამ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1.1 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეცს საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654184 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.1 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ რუსულენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

მეათე საკითხი: “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გაიანე სიმონიამ
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

1.1 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა “სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,“სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ” საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 30 ივნისის № 654185 გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:
1.1 ,,2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ,,დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).

მეთერთმეტე საკითხი: „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადეს - ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ.
საფუძველი - შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

1.1 დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) მიეთითოს შემდეგნაირად: 0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული;
1.2 კვალიფიკაციის დასახელება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით მიეთითოს შემდეგი სახით: ,,მეცნიერების ბაკალავრი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში“.
საბჭოს წევრებმა იმსჯელეს აღნიშნული ინიცირების შესახებ, რის საფუძველზეც, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ბიოსამედიცინო ინჟინერიის"საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 20 ივლისის № 728044 გადაწყვეტილების დანართ N1-ში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.3 დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) მიეთითოს შემდეგნაირად: 0719 - ინჟინერია და საინჟინრო საქმე - არაკლასიფიცირებული;
1.4 კვალიფიკაციის დასახელება „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორის“ მიხედვით მიეთითოს შემდეგი სახით: ,,მეცნიერების ბაკალავრი ბიოსამედიცინო ინჟინერიაში“.

მეთორმეტე საკითხი: 2021 წლის 6 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 680051 სხდომის ოქმში პირველი საკითხის სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 6 ივლისის N 680051 სხდომის ოქმში პირველი საკითხთის მიმართებით ფიქსირდება ტექნიკური ხარვეზი, კერძოდ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ფორმულირებული უნდა იყოს შემდეგი სახით: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის PBL” ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა 2021 წლის 6 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 680051 სხდომის ოქმში სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 2021 წლის 6 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს N 680051 სხდომის ოქმში სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებაში გასწორდეს ტექნიკური ხარვეზი და მიეთითოს შემდეგი ფორმულირებით: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის PBL” ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა.

მეცამეტე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ;

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში გამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ, ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში:
1.1 გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გადაწყვეტილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ
1.2 აღწერილობითი ნაწილის 2.1 პუნქტში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.
1.3 სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.
1.4 გადაწყვეტილებისდანართ N1-ში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის

აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში შესაბამისი ცვლილებების შეტანის საკითხი, ხარვეზების გასწორების მიზნით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ,,სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „დიპლომირებული სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 25 ნოემბრის № 1123324 გადაწყვეტილებაში შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:
1.1 გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება გადაწყვეტილების სათაურში და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სტომატოლოგიის“ საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ
1.2 აღწერილობითი ნაწილის 2.1 პუნქტში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.
1.3 სარეზოლუციო ნაწილის პირველ და მეორე პუნქტებში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.
1.4 გადაწყვეტილებისდანართ N1-ში გასწორდეს საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება და ,,დიპლომირებული სტომატოლოგიის“ ნაცვლად მიეთითოს ,,სტომატოლოგია“.

მეთოთხმეტე საკითხი: „შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021წლის 07 ივლისის № 685470 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხადეს - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა და დიანა მჭედლიშვილმა.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნინო იმნაძე.

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ქრისტინე აბულაძემ აღნიშნა რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 07 ივლისის № 685470 გადაწყვეტილებაშიგამოვლინდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც მიზანშეწონილია გასწორდეს საბჭოს შესაბამისი გადაწყვეტილებით კერძოდ,აღნიშნული გადაწყვეტილების მე-2 ნაწილში (აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება) 2.2 პუქტში ექსპერტთა შეფასების ცხრილში, მე-4 სტანდარტის

შეფასება უნდა იყოს „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა „შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021წლის 07 ივლისის № 685470 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების საკითხი,

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59 - ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე,„შპს კავკასიის უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 07 ივლისის № 685470 გადაწყვეტილებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:
„2.2. ცენტრის დირექტორის 2021 წლის 9 იანვრის №44153 ბრძანების საფუძველზე, „შპსკავკასიის უნივერსიტეტი'' ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის2021 წლის 19 მარტის № 257342 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის23 აპრილს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი შპს კავკასიის უნივერსიტეტში, ხოლო 2021წლის 25 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად,სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან**
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	√			
2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	√			
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	√			
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		√		
5. სწავლების ხარისხის	√			

განვითარების შესაძლებლობები				

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 22:20 სთ-ზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის თავმჯდომარე
იმნაძე ნინო



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე